საქპატენტი
SAKPATENTI

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT



2014

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT
# 2014

თბილისი 2015 TBILISI

# შინაარსი
# TABLE OF CONTENTS


| | | |
|---|---|---|
| წინასიტყვაობა | 4 | PREFACE |
| ორგანიზაციის შესახებ | 10 | ABOUT ORGANIZATION |
| გამოგონებები | 16 | INVENTIONS |
| სასარგებლო მოდელები | 22 | UTILITY MODELS |
| მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვა | 27 | PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS |
| სასაქონლო ნიშნები | 34 | TRADEMARKS |
| საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები | 46 | APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS |
| დიზაინი | 50 | DESIGN |
| საავტორო უფლებები | 57 | COPYRIGHT |
| დავები | 59 | DISPUTES |
| კანონშემოქმედება | 62 | LAWMAKING |
| საერთაშორისო ურთიერთობები | 68 | INTERNATIONAL RELATIONS |
| მრავალმხრივი ხელშეკრულებები | 82 | MULTILATERAL AGREEMENTS |
| ორმხრივი ხელშეკრულებები | 84 | BILATERAL AGREEMENTS |
| მემორანდუმები ორგანიზაციებთან | 87 | MEMORANDUMS WITH ORGANIZATIONS |
| საინფორმაციო საქმიანობა | 90 | INFORMATION ACTIVITY |
| საგამომცემლო საქმიანობა | 90 | PUBLISHING ACTIVITY |
| ვებგვერდი | 95 | WEBPAGE |
| ბიბლიოთეკა | 97 | LIBRARY |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები | 100 | INFORMATION TECHNOLOGIES |
| ღონისძიებები და საზოგადოებასთან ურთიერთობა | 104 | EVENTS & PUBLIC RELATIONS |
| საფინანსო ანგარიში | 111 | FINANCIAL REPORT |
| სტატისტიკური მონაცემები | 113 | STATISTICAL DATA |


© საქპატენტი, 2015

# წინასიტყვაობა
# PREFACE



ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" 2014 წლის შესრულებული სამუშაოების ანგარიშს.

წლიურ ანგარიშში დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს გასულ წელს საქპატენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის დეტალებს. ბოლო ხუთი წლის მაჩვენებლების ანალიზის ფონზე, ანგარიშში თავმოყრილი მონაცემები ასახავს სტატისტიკურ სურათს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების თითოეულ ობიექტზე საქპატენტში შემოსული განაცხადების ექსპერტიზისა თუ მათზე სააპელაციო პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შედეგებსა და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

საანგარიშო წელს საქპატენტი ახორციელებდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების წარმოშობის, დაცვისა და განხორციელებისკენ მიმართულ საქმიანობას.

2014 წელს დარეგისტრირდა და გაიცა პატენტი 208 გამოგონებასა და 46 სასარგებლო მოდელზე, დაცული დიზაინების რაოდენობამ შეადგინა 281, დარეგისტრირდა და საქართველოს ტერიტორიაზე დაცვა მიენიჭა 4097 სასაქონლო ნიშანს, მიღებულია განაცხადი 5 ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციაზე, ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად, საქართველოზე გავრცელების მოთხოვნით მიღებულია 25 ადგილწარმოშობის დასახელება. 2014 წელს საგრძნობლად გაიზარდა განაცხადების რაოდენობა მცენარეთა ახალ ჯიშებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია უცხოელი განმცხადებლების აქტიურობა. კერძოდ, შემოსული 61 განაცხადიდან, 42 უცხოელ განმცხადებლებს ეკუთვნით. გაწეული მომსახურების საფასურების სახით შემოსულია 6 884 000 ლარი, ბიუჯეტში კი გადარიცხულ იქნა 1 264 874,48 ლარი.

ძირითადი საქმიანობის გარდა, საქპატენტი ახორციელებდა საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით. ინტელექტუალური საკუთრების თანამედროვე სტანდარტებით დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე. ამიტომ, საერთაშორისო თანამშრომლობა საქპატენტისთვის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. ამ მხრივ გასული წელი მეტად დატვირთული იყო. აღსანიშნავია საქპატენტის აქტიური თანამშრომლობა ისმო-სთან, ევროპის საპატენტო უწყებასთან, ევროპის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებასთან, ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან, ასევე, უცხოეთის მრავალი ქვეყნის საპატენტო უწყებებთან. 2014 წელს საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ისმო-ს მიერ ორგანიზებულ არაერთ ტრეინინგში, სხდომასა თუ საკომიტეტო

Dear Reader,

We are presenting the annual report of the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti for the Year 2014.

Details of Sakpatenti activities for the reporting year are provided to the interested readers. Based on the figures of the last five year analysis, the annual report reflects statistical data according to key directions, in particular, information on the number of applications filed with Sakpatenti for each intellectual property subject-matter, results of examination and appeals heard at the Chamber of Appeals and other important information.

During the reporting year, Sakpatenti continued its activities aimed at the accrual, protection and enforcement of rights in intellectual property subject-matters.

In 2014, patents were issued for 208 inventions and 46 utility models, number of protected designs equalled 281, 4097 trademarks were registered and protected in Georgia, applications were filed for registration of 5 appellations of origin, 25 applications on appellations of origin were received with request on the extension of protection to Georgia according to the Lisbon Agreement. In 2014, the number of applications for new plant varieties increased dramatically. It is noteworthy that foreign applicants were especially active. In particular, out of the 61 applications filed, 42 belonged to foreign applicants. In the form of rendered services, income equalled 6884000 GEL, 1 264 874,48 GEL was transferred to the state budget.

Along with main dutes, Sakpatenti was engaged in different activities. Protection of intellectual property according to modern standards would be impossible without close international cooperation. Therefore, international cooperation is one of the major directions of Sakpatenti. In this regard the reporting year was especially fruitful. Special attention is given to the cooperation of Sakpatenti with the World Intellectual Property Organization (WIPO), European Patent Office (EPO), Office for Harmonization in the Internal Market (OHIM), United States Patent and Trademark Office (USPTO), as well as patent offices of many foreign countries. In 2014, Sakpatenti employees participated in a number of trainings, sessions and committee meetings organized

შეხვედრაში. წლის მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ახალი მემორანდუმების გაფორმებისა და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით. ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) პროცესითა და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით" (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, საქპატენტისთვის აქტუალურია თანამშრომლობა უცხოეთის საპატენტო უწყებებთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ საერთაშორისო ღონისძიებებში.

გასული წელი გამოირჩეოდა საკანონმდებლო აქტივობითაც. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ცვლილებები და მომზადდა კანონპროექტები. საქპატენტის მიერ მომზადდა და შესაბამის უწყებებს განსახილველად გადაეგზავნა შვიდი კანონპროექტი.

გასულ წელს, პატენტრწმუნებულების მუშაობის სრულყოფის მიზნით, დაინერგა სისტემატური შეხვედრები სამუშაო პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად და შემუშავდა მათი ეტაპობრივად განხილვის სამოქმედო გეგმა. საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი.

2014 წელსაც საქპატენტის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენდა. საქპატენტის თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა წარმატებით გაიარა ისმო-ს დისტანციური სწავლების

by WIPO. Active work was underway for conclusion of new memorandums in the intellectual property field and strengthening existing bilateral relations.

Responsibilities taken under the European Neighborhood Policy (ENP) process and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA), underlines importance of close cooperation with foreign patent offices and international donor organizations. Noteworthy that Sakpatenti participated in a number of international events.

Lawmaking activities were intensified in the Year 2014 by Sakpatenti. According to the obligations under the Association Agreement with the European Union, with the aim of harmonization of Georgian legislation with the EU legislation, amendments were made to procedural legislation regulating intellectual property field and draft laws were prepared. Ammendments to the seven laws were drafted and submitted to the relevant agencies for comments by Sakpatenti.

Last year, for the improvement of working skills of patent attorneys, regular meetings were introduced in order to discuss problems arising in the working process and an action plan was elaborated for their consideration. A joint working group was set up in connection with legislative changes.

In 2014, one of the major priorities of Sakpatenti was capacity building of employees. Majority of the staff members successfully passed WIPO Academy distance learning courses and participated



კურსები, მონაწილეობა მიიღო კვალიფიკაციის ასამაღლებელ სწავლებებში და ისმო-ს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებში. თანამშრომელთა აქტივობებზე საუბრისას ხაზგასასმელია კიდევ ერთი ახალი ინიციატივა, რომელიც, ასევე, 2014 წელს დამკვიდრდა. ძირითადი საქმიანობის პარალელურად, საქპატენტის თითოეული დეპარტამენტის თანამშრომლები გარკვეული პერიოდულობით ამზადებენ და კოლეგებისთვის მართავენ პრეზენტაციებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, მათ შორის იმ სასწავლო მივლინებებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებზეც იყვნენ მივლინებულნი.

საქპატენტი კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობს დარგში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. 2014 წელსაც მიმდინარე სიახლეებისა და მოვლენების შესახებ საზოგადოების დროულად ინფორმირების მიზნით, სისტემატურ რეჟიმში ხდებოდა ინფორმაციის განახლება საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდზე. გამოიცა არაერთი საინფორმაციო ბუკლეტი, რომლებიც გავრცელდა სხვადასხვა ღონისძიებაზე. ამავე მიზნით გამოიცემა პერიოდული ჟურნალი „IP საქართველოც". საგულისხმოა, რომ ამჟამად მიმდინარეობს ჟურნალის განახლებულ ვერსიაზე მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ საქპატენტის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, გასულ წელს განისაზღვრა და დეტალურად გაიწერა საქპატენტის 4 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გამოიკვეთა მომდევნო წლებში განსახორციელებელ სამუშაოთა პრიორიტეტები. ესენია:

ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის დაფუძნება, რომელიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, საქპატენტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინტელექტუალური საკუთრების დარგში სპეციალისტების მომზადების მიზნით იმუშავებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო

in a number of trainings organized by WIPO. Another initiative introduced by Sakpatenti in 2014 is the preparation and delivery of periodical presentations by Sakpatenti employees for their colleagues on various key issues, including reporting on the study visits and trainings attended by them.

Sakpatenti pays great attention to the dissemination of information on current developments in the field of intellectual property. In 2014, to inform public timely on the current developments and events, information was updated regularly on the official website of Sakpatenti and its Facebook page, a number of information flyers were published and disseminated during events. Periodical magazine ***IP Georgia*** is issued with the same purpose. It is noteworthy that at present work is carried out for renewed version of the magazine.

It should be noted that according to the main directions of Sakpatenti, in the reporting year 4-year action plan was drafted which specified the priority directions for the subsequent years in detail:

Establishment of an intellectual property educational center, which will serve public awareness raising, capacity building of Sakpatenti employees and training of specialists in the IP field, similar to educational centers of World Intellectual Property Organization (WIPO), United States Patent and Trademark Office (USPTO), European Patent Office (EPO) and Office for Harmonization in the International Market (OHIM). It is noteworthy that within cooperation with WIPO,

ორგანიზაციის, აშშ საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისის, ევროპის საპატენტო უწყებისა და შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების სასწავლო ცენტრების მოდელების მსგავსად. ცენტრი დაგეგმავს და განახორციელებს ერთობლივ პროექტებს, ასევე, საზოგადოებას შესთავაზებს ერთობლივ კურსებს აღნიშნული ორგანიზაციების სასწავლო ცენტრებთან ერთად. საგულისხმოა, რომ ისმო-სთან თანამშრომლობის ფარგლებში 2015 წელს იგეგმება სპეციალური ორწლიანი პროექტის დაწყება, რაც გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის დაფუძნებაში დახმარებას.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზის პროცედურის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, საქპატენტი შეიმუშავებს ინსტრუქციებს, რაც დაეხმარება ქართველ ექსპერტებს საქმიანობის უფრო ეფექტურად განხორციელებაში და ერთგვაროვანი და თანმიმდევრული პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. სახელმძღვანელოები შემუშავდება ევროპის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების დახმარებით.

ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საქპატენტს დაგეგმილი აქვს ურთიერთობების გაღრმავება სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. იგეგმება საპატენტო-საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომელიც დაეხმარება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს წანასწარი საპატენტო ძიების ჩატარებაში.

პრიორიტეტულია, აგრეთვე, ბრენდინგის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც მიზნად ისახავს ქართული პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და, ამ კუთხით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს პოტენციური ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესწავლასა და შეფასებას, მათი შემდგომი რეგისტრაციის მიზნით, გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასა და მისი დანერგვის ხელშეწყობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან და ისმო-სთან.

launch of two-year project on establishment of an intellectual property academy is planned.

For further development and improvement of examination on industrial property objects, Sakpatenti will draft guidelines, which will assist Georgian examiners in more effective fulfillment of their duties and will establish a unified and consecutive practice. Guidelines will be drafted with the assistance of the Office for Harmonization in the International Market.

Sakpatenti plans to deepen cooperation with educational and research institutions for facilitation of innovative activities. A patent-information center will be established, which will assist scientific-research institutions in conducting preliminary patent searches.

Another priority direction is development of branding system, which intends to increase export potential of Georgian products and development of geographical indications system of agricultural products, which in its turn implies study and evaluation of potential appellations of origin and geographical indications for their further registration, establishment of geographical indications control system and facilitation of its introduction. Sakpatenti closely cooperates on this issue with the European Union and WIPO.

In order to raise public awareness in intellectual property field, it is planned to promote and develop further publishing activities, which implies publishing of intellectual property law collections, scientific-educational literature, translation and publishing of foreign literature. Work is underway for publishing scientific-popular magazine ***IP Georgia***. Soon the magazine will be offered to readers in a completely new format with interesting topical articles.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად დაგეგმილია საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების კანონების კრებულის გამოცემას, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოცემას, უცხოური ლიტერატურის თარგმნასა და გამოცემას. მიმდინარეობს მუშაობა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „IP საქართველოს" გამოსაცემად. სულ მალე მკითხველი იხილავს ახალი ფორმატის ჟურნალს საინტერესო და აქტუალური სტატიებით.

ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით, საქპატენტი ისმო-სთან თანამშრომლობის ფარგლებში გეგმავს ინტელექტუალური საკუთრების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, რომლის მიხედვით შეფასდება საქართველოში მოქმედი ინტელექტუალური საკუთრების სისტემა; განისაზღვრება სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას; დაიგეგმება მოკლე და გრძელვადიანი აქტივობები.

ვიმედოვნებთ, რომ 2014 წელს დაწყებული პროექტები წარმატებით განხორციელდება და მომავალ წელს ახალი მიღწევებით შევხვდებით.

For further development of intellectual property system in the country, Sakpatenti within the framework of cooperation with WIPO plans to draft intellectual property development strategy, according to which the current intellectual property system in Georgia will be evaluated; fields requiring improvement will be identified; short and long-term activities will be planned.

We hope that the projects started in 2014 will be implemented successfully and next year will bring new achievements.



ნიკოლოზ გოგილიძე
საქპატენტის თავმჯდომარე

NIKOLOZ GOGILIDZE
SAKPATENTI CHAIRMAN

# ორგანიზაციის შესახებ

# ABOUT ORGANIZATION

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ჩამოყალიბდა 1992 წელს. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველო იყო პირველი, რომელმაც შექმნა და აამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური. მას შემდეგ უწყება მიზანმიმართულად ვითარდება და დღეს ის საერთაშორისო სტანდარტებით მომუშავე საპატენტო უწყებაა. საქპატენტი განსაზღვრავს და უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასა (ისმო) და ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

დაარსების დღიდან საქპატენტის უშუალო მონაწილეობით მომზადდა და ამოქმედდა 30-მდე კანონი, კანონქვემდებარე აქტი და მთელი რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს. დღეს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა სრულად პასუხობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი „TRIPS"-ის შეთანხმების მოთხოვნებსა და ევროკავშირის დირექტივებს.

საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საქპატენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა განაცხადების ექსპერტიზა და საქართველოს სახელმწიფოს სახელით შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები). გარდა ამისა, საქპატენტი ახორციელებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დეპონირებას და გასცემს დეპონირების დამადასტურებელ მოწმობებს.

საქპატენტში ფუნქციონირებს სააპელაციო პალატა, რომელიც კოლეგიური წესით იხილავს დავებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დაცვის კრიტერიუმების შესახებ.

საქპატენტის ერთ-ერთი მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა და გლობალურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია.  დღეისათვის საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებას, არის მრავალი ორმხრივი ხელშეკრულების მხარე. საქპატენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან, ევროპის საპატენტო უწყებასთან, ევროპის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებასთან, ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან და უცხოეთის მრავალი ქვეყნის საპატენტო უწყებებთან. საქპატენტის სპეციალისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების მუშაობაში.

საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც ატარებს სემინარებს, ტრეინინგებსა და სხვა ღონისძიებებს.

საქპატენტში ფუნქციონირებს ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია ადგილობრივი და უცხოური საპატენტო ინფორმაციის უნიკალური და მუდმივად განახლებადი ფონდი და დარგობრივი ლიტერატურის აკადემიური გამოცემები.

დღეს საქპატენტში ფუნქციონირებს მძლავრი ლოკალური ავტომატიზებული ქსელი, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, საქპატენტი ახდენს საპატენტო ინფორმაციის

The National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti is a legal entity of public law operating independently in the area of intellectual property, established in 1992. Georgia was the first of the former Soviet republics to create its national patent service. Since then it was developed and today it is a national office with modern European standards. Sakpatenti defines and carries out intellectual property policy of the state and represents Georgia in the World Intellectual Property Organization (WIPO) and other international organizations functioning in intellectual property field.

Since the day of its foundation, with the direct participation of Sakpatenti up to 30 laws, by-laws and guidance documents of various levels, regulating the legal mechanisms of accrual and enforcement of rights in intellectual property subject-matters, have been prepared and enacted. The current legislation is in full compliance with the requirements of the Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS) of the World Trade Organization and Directives of the European Union.

Sakpatenti is headed by its Chairman, appointed to this post for a 4-year term by the Prime Minister of Georgia. Sakpatenti is accountable to the Prime Minister.

The main function of Sakpatenti is conducting examination of applications and granting respective titles of protection on behalf of the state for intellectual property objects (inventions, utility models, new varieties of plants and breeds of animals, designs, trademarks, appellations of origin and geographical indications). Along with this, scientific, literary and artistic works are deposited with Sakpatenti and certificates of deposition are granted.

The Chamber of Appeals is functioning at Sakpatenti, it hears disputes on the decisions of Sakpatenti on intellectual property objects and protection criteria.

One of the directions of Sakpatenti activity is international cooperation and full-fledged integration of the country into the global system. At present Georgia is a member of all the main conventions and agreements on intellectual property protection, is a party to a number of bilateral international treaties. Sakpatenti has close cooperation with the World Intellectual Property Organization, European Patent Office (EPO), Office for Harmonization in the Internal Market (OHIM), United States Patent and Trademark Office (USPTO) and patent offices of numerous foreign countries. Sakpatenti specialists actively participate in the work of international conferences and seminars.

One of the main directions of Sakpatenti activities is popularization of the intellectual property field and raising public awareness. For this purpose, it is engaged in editorial activities, organizes seminars, trainings and other events.

The intellectual property library functioning at Sakpatenti houses a unique and renewable collection of local and foreign patent information, as well as academic editions of specialist literature.

At present a powerful automated local network is functioning at Sakpatenti, which is based on the modern technical means and software. By means of modern information technologies Sakpatenti forms search databases of intellectual property objects and disseminates knowledge.

Editorial activities of Sakpatenti also serve the purpose of dissemination of pat-

მონაცემთა საძიებო ბაზების ფორმირებასა და ინფორმაციის გავრცელებას.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინფორმაციის გავრცელებას ემსახურება, ასევე, საქპატენტის საგამომცემლო საქმიანობა. თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარებით აღჭურვილი სტამბის მეშვეობით საქპატენტი თვეში ორჯერ, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცემს „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენს", „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენს" და სხვადასხვა სახის დარგობრივ ლიტერატურას. გამოიცემა, აგრეთვე, ჟურნალი „IP საქართველო". ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ჟურნალის შინაარსობრივ განახლებაზე. სულ მალე მკითხველი იხილავს განახლებული ფორმატის სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს „IP საქართველო".

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, საქპატენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა ასოციაციასთან, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებასთან, მათ შორის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქპატენტის თანამშრომლობა საავტორო უფლებების ასოციაციასთან ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებებისა და პროექტების კუთხით.

სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომლობა საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციასთან. საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით შექმნილია ერთობლივი სამუშაო ჯგუფი.

საქპატენტში მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მრავალმა მათგანმა წარმატებით გაიარა ისმო-ს დისტანციური სწავლების კურსები. ძირითადი საქმიანობის პარალელურად, საქპატენტის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო სტატიების მომზადების პროცესში, ასევე, ამზადებენ და კოლეგებისთვის მართავენ პრეზენტაციებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე.

საქპატენტი დიდ ყურადღებას უთმობს დარგის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების სფეროსადმი ინტერესის გაღვივებას. ამ მიზნით უკვე ტრადიციად იქცა სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების მოსწავლეებისა და სტუდენტების

ent information. By means of the printing-office, equipped with modern polygraphic facilities, Sakpatenti publishes the Official Bulletin of Industrial Property twice a month, in Georgian and English, as well as specialized literature. ***IP Georgia*** – the periodical magazine of cognitive character is also published. At present work is under way for renewal of contents of the magazine, and soon scientific-popular journal IP Georgia will be offered to readers in the renewed format.

Within the memorandums of understanding, Sakpatenti cooperates closely with various associations, educational and scientific institutions, including Georgian Bar Association, High School of Justice. Especially noteworthy is cooperation of Sakpatenti with Georgian Copyright Association on jointly implemented projects and events.

Proceeding from the work specificity, Sakpatenti is engaged in active cooperation with the Association of Patent Attorneys of Georgia. A joint working group is set up on legislative amendments.

At Sakpatenti great attention is given to capacity building of employees. Many of them have successfully passed WIPO Academy distance learning courses. In addition to current activities, Sakpatenti staff members are actively engaged in the process of preparation of scientific articles, delivery of presentations to colleagues on various topical issues, including local and international events and trainings, attended by them.

Sakpatenti pays great attention to the popularization of the IP field and kindling of interest among youth. Visits of pupils and students of different educational institutions have already become a tradition at Sakpatenti, where general overviews and presentations are delivered for them.

An exhibition of intellectual property and a wine cellar illustrating Georgian wines of appellations of origin at

ვიზიტები და მათთვის მიმოხილვითი ხასიათის პრეზენტაციების გამართვა.

მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს საქპატენტის მცხეთის ოფისში განთავსებული ინტელექტუალური საკუთრების გამოფენა და ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების საილუსტრაციო მარანი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით № 242 (23.07.2014) საქპატენტის თავმჯდომარედ დაინიშნა ნიკოლოზ გოგილიძე, რომელმაც თანამდებობაზე ირაკლი ღვალაძე შეცვალა. ის 2003-2010 წლებში მუშაობდა საქპატენტში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, თავდაპირველად – იურისტად, შემდეგ - ინტელექტუალური საკუთრების სამართლის თეორიისა და პრაქტიკის დეპარტამენტის უფროსად და იურიდიულ დირექტორად. ბოლო წლებში იყო საქართველოს პატენტრწმუნებული, ეწეოდა კერძო საადვოკატო და პედაგოგიურ პრაქტიკასაც.

ახალი ხელმძღვანელის მოსვლით, საქპატენტში დაინერგა მრავალი სიახლე, გააქტიურდა კანონშემოქმედებითი საქმიანობა, შეიცვალა ორგანიზაციული სტრუქტურა, საფუძველი ჩაეყარა ახალ პროექტებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის დაფუძნება, სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალზე მუშაობა, პატენტრწმუნებულების მუშაობის სრულყოფისა და მათთან კომუნიკაციის მიზნით, დაინერგა სისტემატური სამუშაო შეხვედრები; აღსანიშნავია, ასევე, თანამშრომელთა სავალდებულო სწავლებები და კვალიფიკაციის ამაღლება, პრეზენტაციების გამართვა სხვადასხვა აქტუალურ თემაზე და სხვა.

Sakpatenti Office in Mtskheta enjoy great popularity among visitors.

By the Decree № 242 of the Prime Minister of Georgia, as of July 23, 2014, Mr. Nikoloz Gogilidze was appointed the Chairman of Sakpatenti, succeeding on this post Mr. Irakli Ghvaladze. In 2003-2010 Nikoloz Gogilidze worked at Sakpatenti at various leading positions, started as a lawyer, continuing as a Head of the Intellectual Property Law Theory and Practice Department and Director of Legal Affairs of Sakpatenti. He worked as a patent attorney, and also carried on individual lawyer and pedagogical practice.

After the appointment of the new chairman, a number of novelties were introduced at Sakpatenti, lawmaking activity became more intensive, organization structure was changed, new projects were planned, of which the following are noteworthy: active international cooperation, facilitation of innovative activities, establishment of an intellectual property educational center, work on scientific-popular magazine meetings with patent attorneys in order to improve their working skills and to ensure better communication with them. Compulsory training and capacity building for Sakpatenti employees, delivering of presentations on various topical issues, etc. are also noteworthy.





შეხვედრა პატენტრწმუნებულებთან
Meeting with Patent Attorneys

# საქპატენტის სტრუქტურა




# STRUCTURE OF SAKPATENTI



# გამოგონებები

# INVENTIONS

საქართველოში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია 2 გზით.

- განაცხადის წარდგენით უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში";
- საერთაშორისო პროცედურების მეშვეობით, რაც გულისხმობს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

გამოგონებაზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ, 1992 წლის პირველი მაისიდან. 2015 წლის 1 იანვრისთვის საქპატენტში გამოგონებაზე შემოსულია 10554 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა და გაიცა 6235 პატენტი (დაახლოებით 59 %), ამათგან 3196 – ეროვნულ და 3039 უცხოურ გამოგონებაზე.

2015 წლის პირველი იანვრისთვის ყველაზე მეტი – 5204 განაცხადი შემოსულია ეროვნული პროცედურით, რაც საქპატენტში შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია.

2014 წელს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით, საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 297 განაცხადი გამოგონებაზე, აქედან, საერთაშორისო პროცედურით შემოვიდა 179 განაცხადი, ეროვნული პროცედურით კი – 118 განაცხადი, საიდანაც ადგილობრივ განმცხადებლებს ეკუთვნით 110 განაცხადი.

უცხოელი განმცხადებლებისგან 2014 წელს შემოვიდა 187 განაცხადი. უცხოელ განმცხადებლებს შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ განმცხადებლები აშშ-დან, რომლებმაც 52 განაცხადი შემოიტანეს. დიდი ბრიტანეთიდან შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ შეადგინა 19, ხოლო იტალიიდან შემოსულმა განცხადების რაოდენობამ – 14.

In Georgia the exclusive right in an invention may be acquired in two ways:

- By filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti";
- Under international procedures, which implies filing an international application in accordance with the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began receiving applications for inventions under the national procedure after its formation as an independent unit in May 1, 1992. By January 1, 2015, 10554 applications were filed for inventions with Sakpatenti, of these 6235 ones (about 59%) were registered and patents were granted, among these, patents were granted for 3196 national and 3039 foreign inventions.

By January 1, 2015, the greatest quantity of applications (5204) were filed under the national procedure, which is more than a half of the total quantity of the applications filed with Sakpatenti.

In 2014, 297 applications for inventions were filed for consideration with Sakpatenti both under the national and international procedures. Of these, 179 applications were filed under the international procedure, and 118 applications – under the national procedure, of which 110 applications were filed by local applicants.

In 2014, 187 applications were filed by foreign applicants. Of the foreign applicants, applicants from the USA were especially active, who filed 52 applications. 19 applications were filed from Great Britain, and 14 – from Italy.

The analysis of breakdown of foreign

**2010-2014 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა**

NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2010-2014

| | | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 200 | 153 | 153 | 134 | 118 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 183 | 138 | 137 | 114 | 110 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 17 | 15 | 16 | 20 | 8 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 162 | 245 | 219 | 199 | 179 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 362 | 398 | 372 | 333 | 297 | TOTAL | |




**2010-2014 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ გამოგონებაზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა**

NUMBER OF APPLICATIONS FOR INVENTIONS FILED BY LOCAL APPLICANTS IN 2010-2014

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 6 | 4 | 7 | 7 | 7 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 177 | 134 | 130 | 107 | 100 | NATURAL PERSON |
| სულ | 183 | 138 | 137 | 114 | 107 | TOTAL |



## 2010-2014 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით

### BREAKDOWN OF NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2010-2014 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 183 | 138 | 137 | 114 | 110 | GE (GEORGIA) |
| აშშ | 45 | 65 | 69 | 64 | 52 | US (USA) |
| იაპონია | 20 | 16 | 13 | 16 | 12 | JP (JAPAN) |
| იტალია | 19 | 18 | 16 | 12 | 14 | IT (ITALY) |
| საფრანგეთი | 17 | 26 | 26 | 20 | 12 | FR (FRANCE) |
| დიდი ბრიტანეთი | 10 | 8 | 4 | 10 | 9 | GB (GREAT BRITAIN) |
| გერმანია | 2 | 25 | 29 | 29 | 19 | DE (GERMANY) |
| დანარჩენი | 66 | 102 | 78 | 68 | 69 | OTHER |
| სულ | 362 | 398 | 372 | 333 | 297 | TOTAL |




უცხოური განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილების შესაბამისი დარგების მიხედვით განაწილების ანალიზი კი აჩვენებს, რომ გამოგონებათა ყველაზე მეტი რაოდენობა C განყოფილების შესაბამის დარგებზე (ქიმია, მეტალურგია) მოდის, რაც საერთო რაოდენობის 46 %-ს შეადგენს. შემდეგია A ჯგუფის (ადამიანის პირველადი მოთხოვნების საგნები) განაცხადები, რომელიც საერთო რაოდენობის 36 %-ს შეადგენს. დანარჩენი დარგების შესაბამისი პროცენტული რაოდენობა მცირეა გასული წლების მსგავსად.

უცხოურისგან განსხვავებით, ადგილობრივ გამოგონებათა უმეტესობა – 33% მიეკუთვნება A ჯგუფს (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) და 17% – B ჯგუფს (ტექნოლოგიური პროცესები). შემდეგია C ჯგუფი (ქიმია, მეტალურგია) – 15% და F ჯგუფი (მექანიკა) – 17%. ყველაზე დაბალი რაოდენობრივი მაჩვენებლით (4,5%) წარმოდგენილია G ჯგუფი (ფიზიკა) და H ჯგუფი (ელექტროობა). 2014 წელს არცერთი განაცხადი არ შემოსულა D ჯგუფში (საფეიქრო ნაწარმი).

2014 წელს საქპატენტში, როგორც „მიმღებ უწყებაში", მიღებული იყო და საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 1 საერთაშორისო განაცხადი, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბიულეტენში. ამავდროულად, საქპატენტის დახმარებით გადაგზავნილი იქნა 2 საერთაშორისო განაცხადი არარეზიდენტი განმცხადებლის მიერ პირდაპირ საერთაშორისო ბიუროში.





## 2010-2014 წლებში შემოტანილი უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF FOREIGN APPLICATIONS FILED IN 2010-2014 ACCORDING TO BRANCHES

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 47 | 82 | 80 | 72 | 68 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 16 | 11 | 25 | 11 | 5 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 94 | 127 | 113 | 118 | 86 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 6 | 18 | 10 | 7 | 10 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 3 | 8 | 3 | 6 | 8 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 8 | 12 | 3 | 3 | 5 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 5 | 2 | 1 | 2 | 5 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 179 | 260 | 235 | 219 | 187 | TOTAL |




applications according to branches of the International Patent Classification shows that the largest quantity of inventions was in the branches corresponding to Section C (chemistry, metallurgy), which was about 46% of the total number. Applications in Section A (human necessities) were on the second position, forming about 36% of the total number. The percentage of applications corresponding to other branches was low, as in previous years.

Unlike foreign inventions, the majority of local inventions – 33 % belongs to Section A (human necessities) and 17 % – to Section B (performing operations). These are followed by Section C (chemistry, metallurgy) – 15% and Section F (mechanical engineering) – 17 % Section G (physics) and Section H (electricity) are represented by the lowest number (4.5%). In 2014 no applications were filed in Section D (textiles).

In 2014, Sakpatenti as the "receiving office" received and sent to the International Bureau 1 international application, which was already published in the International Bulletin. At the same time, with the assistance of Sakpatenti, non-resident applicants sent 2 international applications directly to the International Bureau.

## 2010-2014 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2010-2014 ACCORDING TO BRANCHES

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 60 | 29 | 36 | 41 | 37 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 34 | 27 | 28 | 23 | 19 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 14 | 18 | 19 | 16 | 17 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 15 | 16 | 10 | 4 | 11 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 41 | 33 | 22 | 20 | 16 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 8 | 4 | 10 | 5 | 5 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 11 | 11 | 12 | 3 | 5 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 183 | 138 | 137 | 114 | 110 | TOTAL |




2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ საერთაშორისო ბიუროში გაგზავნილია 106 განაცხადი.

2014 წელს საქპატენტის მიერ გაცემულია 208 პატენტი. აქედან, 69 პატენტი გაიცა ეროვნული პროცედურით შემოსულ გამოგონებებზე, ხოლო 139 – საერთაშორისო პროცედურით შემოსულ განაცხადებზე.

2010-2014 წლებში გამოგონებაზე გაცემული პატენტების რაოდენობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი პატენტი (346) გაცემულია 2012 წელს.

By January 1, 2015, in total 106 applications were sent to the International Bureau.

In 2014 Sakpatenti granted 208 patents. Of these, 69 patents were granted for inventions filed under the international procedure, and 139 for applications filed under the international procedure.

The quantitative analysis of the number of granted patents for inventions in 2010-2014 shows that over the last 3 years the greatest number of patents (346) was granted in 2012.

## 2010-2014 წლებში რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა

### NUMBER OF PATENTS REGISTERED IN 2010-2014

| | | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 140 | 121 | 160 | 113 | 69 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 129 | 106 | 143 | 104 | 58 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 11 | 15 | 17 | 9 | 11 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 118 | 116 | 186 | 173 | 139 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 258 | 237 | 346 | 286 | 208 | TOTAL | |




## 2010-2014 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების სახელზე რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა

### NUMBER OF PATENTS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS IN 2010-2014

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 1 | 6 | 4 | 5 | 5 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 128 | 100 | 139 | 99 | 53 | NATURAL PERSON |
| სულ | 129 | 106 | 143 | 104 | 58 | TOTAL |



# სასარგებლო მოდელები

# UTILITY MODELS

საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, საქართველოში სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია ორი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც მოიცავს განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურით, რაც გულისხმობს საერთაშორისო განაცხადის წარდგენას საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად.

საქპატენტში სასარგებლო მოდელზე განაცხადის მიღება მიმდინარეობს 1992 წლიდან. 2015 წლის პირველი იანვრისთვის საქპატენტში შემოსულია 2387 განაცხადი.

სასარგებლო მოდელზე 2015 წლის პირველი იანვრისთვის გაცემულია 1818 პატენტი. საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობიდან ეროვნული პროცედურით შემოტანილია 2373 განაცხადი, საიდანაც პატენტი გაიცა 1812 სასარგებლო მოდელზე.

აღსანიშნავია, რომ გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება პრაქტიკულად მხოლოდ ეროვნული პროცედურით ხდება და წლების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 60-დან 130-მდე მერყეობს. 2014 წლის მონაცემებით საქპატენტში შემოსულია 51 განაცხადი.

2014 წელს საერთაშორისო პროცედურით სასარგებლო მოდელზე არ შემოსულა არცერთი განაცხადი.

2010-2014 წლებში ადგილობრივი განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების დარგების მიხედვით განაწილების მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ სასარგებლო მოდელზე განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის A განყოფილების დარგებზე (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) და საერთო რაოდენობის, დაახლოებით, 50%-ს შეადგენს. სხვა დანარჩენი ჯგუფები თითქმის ერთნაირი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი.

An exclusive right in a utility model in Georgia may be acquired under the Patent Law of Georgia in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti";
- Under the international procedure, which implies filing an international application under the Patent Cooperation Treaty (PCT) with the International Bureau.

Sakpatenti began receiving applications for utility models in 1992. By January 1, 2014, in total 2336 applications were filed, of these, patents were granted for 1773, which is 76%. At the same time, of the total number of the applications for utility models filed with Sakpatenti, 2322 applications for were filed under the national procedure, of which patents were granted for 1766 ones.

Unlike inventions, exclusive rights in utility models are acquired practically only by the national procedure and from year to year the total number of applications varies within 60 and 130. By the data of 2013, 65 applications were filed.

In 2013 only 1 application for utility models was filed with Sakpatenti under the international procedure.

The analysis of the data of the breakdown of local applications according to branches corresponding to Sections of the International Classification in 2010-2014 shows that the largest quantity of applications for utility models was in the branches corresponding to Section A (Medicine or Veterinary; food or Foodstuffs; Agriculture) which is about 50% of the total number.

### 2010-2014 წლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა
### NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2010-2014

| | | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 60 | 76 | 49 | 64 | 51 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 59 | 70 | 48 | 63 | 50 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 1 | 6 | 1 | 1 | 1 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 60 | 78 | 49 | 65 | 51 | TOTAL | |



### 2010-2014 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED FOR INVENTIONS IN 2010-2014 ACCORDING TO BRANCHES

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 34 | 47 | 24 | 31 | 32 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 4 | 3 | 4 | 9 | 5 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 4 | 3 | 7 | 3 | 3 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 5 | 3 | 7 | 8 | 1 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 6 | 4 | 5 | 5 | 4 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 3 | 4 | 0 | 6 | 3 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 3 | 5 | 1 | 0 | 1 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 59 | 70 | 48 | 63 | 50 | TOTAL |




2014 წლის მაჩვენებლებით აღსანიშნავია ფიზიკური პირების განაცხადების საერთო რაოდენობის კლება 2013 წელთან შედარებით, თუმცა, ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობა კვლავ გაცილებით აღემატება იურიდიული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობას.

2014 წელს სასარგებლო მოდელზე გაიცა 46 პატენტი.

Other groups are represented in similar numbers.

result of implementation of relevant legislative amendments in accordance with the EU regulations, from the Patent Law of Georgia intellectual property object – industrial design was removed, and a separate law on design was enacted. It should also be taken into account that the Office for Harmonization in the International Market (OHIM) considers design and trademarks as objects of one group of industrial property. Accordingly, on the basis of international practice, as a result of structural changes at Sakpatenti in 2014, certain structural units were grouped according to IP objects. Namely, registration functions carried out by the invention, design and new varieties were transferred to the Department of Trademarks and Geographical Indications Department. Accordingly, the names of the departments changed. At present, Department of Inventions and New Varieties and Breeds, and Department of Trademarks and Geographical Indications function at Sakpatenti.

It is also planned to set up an intellectual property educational center, the objective of which will be aimed at implementation of educational activities in the field of intellectual property, which will contribute to the promotion and development of intellectual property. According to the project, the statute of the training center shall be approved by the Chairman of Sakpatenti. The training center will be set up with the support of World Intellectual Property Organization (WIPO), the Office for Harmonization in the Internal Market (OHIM) and

2014 წელს, ასევე, მომზადდა და მიღებულ იქნა საქპატენტის თავმჯდომარის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, კერძოდ:

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მომზადდა და დადგენილი წესით გამოქვეყნდა საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".
- „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად, მომზადდა და დადგენილი წესით გამოქვეყნდა საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის" მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ".

გარდა ამისა, 2014 წელს მომზადდა საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებები:

- „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების" დამტკიცების თაობაზე" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის" თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №1 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". აღნიშნული ცვლილებით, „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის №223 ბრძანებულებით დამტკიცებუ-

the United States Patent and Trademark Office (USPTO).

In 2014, normative administrative legal acts of the Chairman of Sakpatenti were drafted and enacted, namely:

- On the basis of the Trademark Law of Georgia, Order of Sakpatenti Chairman on Approval of Instruction on Procedures Related with Filing Applications and Registration of Trademarks was drafted and published according to established rule.
- According to Administrative Code of Georgia and Resolution of Government of Georgia N 219 of August 26, 2013, on Requesting Public Information in Electronic Form and Proactive Publication, Order of Sakpatenti Chairman on Approval of Standard for Proactive Publication of Public Information by National intellectual Property Center of Georgia Sakpatenti and Requesting in Electronic Form was drafted and published according to prescribed rule.

In addition, in 2014, orders of Sakpatenti Chairman were drafted:

- Order on Partial Invalidation of Order №1 of the Chairman of LEPL National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti of January 12, 2011 on the approval of the "Statute on Patent Attorneys of Georgia". According to the amendments, the patent attorneys registered on the basis of the "Statute on Patent Attorneys of Georgia" approved by Decree of the President of Georgia №223 of May 8, 2002, are exempted from certification that



ლი დებულების საფუძველზე, რეგისტრირებული პატენტრწმუნებულები გათავისუფლდებიან „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების" დამტკიცების თაობაზე" სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ" დებულებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლისგან და შეუნარჩუნდებათ პატენტრწმუნებულის სტატუსი.

- „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის" მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ", რომლის შესაბამისად განისაზღვრა წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა.

was necessary in accordance with the rule established by Order №1 of the Chairman of LEPL National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti of January 12, 2011, and retain the status of patent attorneys.

- Order on Payment of Fee for Making a Copy of Public Information by National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti, according to which, minimum amount of public information to be requested without payment of the fee during the year was defined.

# საერთაშორისო ურთიერთობები

2014 წელი გამოირჩეოდა საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურებით, მიმდინარეობდა მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უცხოეთის საპატენტო უწყებებთან და რეგიონულ ორგანიზაციებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქპატენტის თავმჯდომარემ ოფიციალური შეხვედრები გამართა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში წამყვანი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, კერძოდ, ისმო-ს გენერალურ დირექტორ ფრენსის გარისთან, ევროპის შიდა ბაზარზე ჰარმონიზების უწყების პრეზიდენტ ანტონიო კამპინოსთან და ევროპის საპატენტო უწყების ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრების ფარგლებში დაისახა თანამშრომლობის სამოქმედო გეგმები. ისმოს-თან თანამშრომლობა გაგრძელდება საქპატენტის ბაზაზე ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის შექმნის ხელშეწყობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ჩაეყარა საფუძველი ევროპის შიდა ბაზრის ჰარმონიზების უწყებასთან (OHIM) თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს. „OHIM"-ის პრეზიდენტმა, ანტონიო კამპინოსმა, გამოთქვა მზადყოფნა, საქპატენტს გაუზიაროს უწყების გამოცდილება და დაეხმაროს სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინების დაცვისა და ექსპერტიზის სისტემის დახვეწასა და განვითარებაში. დაგეგმილია, ასევე, მემორანდუმის გაფორმება საქპატენტისა და „OHIM"-ის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ მომავალი წლისთვის დაიგეგმა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ფრენსის გარისა და ევროპის შიდა ბაზრის ჰარმონიზების უწყების ხელმძღვანელის ანტონიო კამპინოსის ვიზიტი საქართველოში.

2014 წელს გაგრძელდა მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული ხელშეკრულებების განახლებისა და ახალი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით. ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს პოლონეთისა და უკრაინის საპატენტო უწყებებთან. აღნიშნული შეთანხმებები მიზნად ისახავს ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობას. მათში გათვალისწინებულია გამოცდილებისა და მოწინავე პრაქტიკის გაზიარება, ადამიანური რესურსების განვითარება, დოკუმენტაციის გაცვლა, თანამშრომლობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში და სხვ. ასევე, გაფორმდა შეთანხმება ისრაელის საპატენტო უწყებასთან ისრაელის საპატენტო უწყების მოქმედების შესახებ როგორც საერთაშორისო საძიებო ორგანო (ISA) და  წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის ორგანო (IPEA) იმ საერთაშორისო განაცხადების მიმართ, რომლებსაც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი იღებს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების ფარგლებში.

გარდა აღნიშნული უწყებებისა, საინტერესოა უნგრეთის, ჩინეთის და ამერიკის საპატენტო უწყებასთან თანამშრომლობა. უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან გაფორმებული

# INTERNATIONAL RELATIONS

The Year 2014 was distinguished by active international contacts, work was under way for strengthening bilateral and multilateral relations in intellectual property field with foreign patent offices and regional organizations.

It should be noted that in order to strengthen international cooperation, Sakpatenti Chairman hold official meetings with heads of leading organizations in the field of intellectual property protection, namely, Director General of World Intellectual Property Organization (WIPO) Francis Gurry, President of Office for Harmonization in the International Market (OHIM) Antonio Campinos and top officials of European Patent Office (EPO). During the meetings action plan for cooperation were outlined. Cooperation with WIPO will continue in the direction of promotion of establishment of an intellectual



მემორანდუმის ხელმოწერა პოლონეთის საპატენტო უწყებასთან საქპატენტში
Signing MoU with the State Intellectual Property Office of Poland at Sakpatenti

property educational center on the basis of Sakpatenti, drafting of national intellectual property protection strategy, development of a national system of geographical indications and establishment of the geographical indications control system.

It should be noted that in 2014 the foundation was laid for perspectives of deepening cooperation with OHIM. Antonio Campinos, President of OHIM, expressed his willingness to share experience with Sakpatenti and render assistance in improvement and development of the trademarks and designs protection system. It is also planned to sign a memorandum of understanding between Sakpatenti and OHIM.

It is important that the visits of Francis Gurry and Antonio Campinos were scheduled for next year.

In 2014 work continued for the renewal of agreements in the intellectual property field and conclusion of new agreements. Agreement on Cooperation between the Sakpatenti and the Patent Office of the Republic of Poland, and Memorandum of understanding between the State Intellectual Property Service of Ukraine and Sakpatenti were signed. These agreements are aimed at further strengthening of bilateral cooperation. They provide for exchange of experience and best practices, human resources development, exchange of documentation, IT cooperation, etc. Arrangement was signed between the Israel Patent Office and Sakpatenti Concerning Action of the Israel Patent Office as an International Searching Authority and Preliminary Examining Authority under the Patent Cooperation Treaty for Certain International Applications Received by the National Intellectual Property Center of

მემორანდუმის ფარგლებში 2014 წელს დაიგეგმა თანამშრომლობა საქართველოს მოსამართლეების ტრეინინგების, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების საკოორდინაციო საბჭოს ჩამოყალიბების მიზნით, უნგრეთის გამოცდილების გაზიარებისა და საქპატენტის თანამშრომლების ტრეინინგების ორგანიზების მიმართულებით.

აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაგრძელდა მოლაპარაკებები საქპატენტის თანამშრომლების გადამზადებისა და ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის დაფუძნების მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

ასევე, საგულისხმოა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან 2013 წელს გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას. ამ მიზნით, საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში:

- სამუშაო შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების ზოგად საკითხებთან დაკავშირებით, 18-24 მაისი, პეკინი, ჩინეთი);
- სამუშაო ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (24-27 ივნისი, პეკინი, ჩინეთი);
- სამუშაო შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების ზოგად საკითხებთან დაკავშირებით (14-26 სექტემბერი, პეკინი და სუჟოუ, ჩინეთი).

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სომელიეთა ასოციაციასთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობასთან (ICC Georgia), კომპიუტერული თამაშების ასოციაციასთან და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან.

31 იანვარს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტსა" და სომელიეთა ასოციაციას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვას, განვითარებას და პოპულარიზაციას. მხარეები მემორანდუმის ფარგლებში აქტიურად ცვლიან ინფორმაციას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ახორციელებენ მიზნობრივ პროექტებს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

25 თებერვალს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობასთან (ICC Georgia) გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეების თანამშრომლობას ადამიანური რესურსების განვითარების დარგში და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზებას. აღნიშნული მემორანდუმი ICC Georgia-ს ახალგაზრდული ფრთის წევრებს, ასევე, აძლევს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება საქპატენტში.

Georgia.

In addition to the above-mentioned offices, cooperation is important with patent offices of Hungary, China and United States of America. Within the Agreement on the cooperation with the Hungarian Intellectual Property Office, in 2014 cooperation was planned in organization of trainings for Georgian judges, establishment of a national council for intellectual property protection and offering trainings for Sakpatenti staff members.

Within the Memorandum of Bilateral Cooperation between Sakpatenti and the United States Patent and Trademark Office, negotiations continued with a view to rendering assistance in capacity building of Sakpatenti employees and setting up of an intellectual property academy in Georgia.

It is also noteworthy that the Agreement on the cooperation between Sakpatenti and the State Intellectual Property Office of the People's Republic of China, signed in 2013, provides for implementation of activities directed at raising awareness in intellectual property field and capacity building. For this purpose, Sakpatenti representatives took part in the following events organized by the State Intellectual Property Office of China:

- Training Workshop on Intellectual Property (May 18-24, Beijing and Chongqing, China);
- Visit to the State Intellectual Property Office of the People's Republic of China (SIPO) - Sakpatenti-SIPO Bilateral Heads Meeting (June 24-27, Beijing, P.R.China);
- Comprehensive training seminar on intellectual property (September 14-26, Beijing and Suzhou, China).

Memorandums of understanding were signed with the Association of Sommeliers of Georgia, International Chamber of Commerce (ICC) Georgia, Computer Games Association and Georgian Bar Association.

1. On January 31, a Memorandum of Understanding was signed between Sakpatenti and the Association of Sommeliers, which envisages the protection, development and promotion of appellations of origin of Georgian wine. Within the memorandum, the parties actively exchange information on issues related to appellations of origin of Georgian wine in the country and abroad, and implement target projects on the basis of mutual interests.

2. The Memorandum of Understanding with the International Chamber of Commerce (ICC) Georgia, signed on February 25, provides for cooperation of parties in the field of human resources development and organization of events directed at awareness raising. The memorandum also enables members of the ICC Georgia Youth to take internship at Sakpatenti.

3. The Memorandum of Understanding, signed between Sakpatenti and the Computer Games Association of Georgia on June 23, aims to facilitate development of innovative activities, as well as close cooperation to create and promote infor-






საქპატენტის დელეგაცია ისმო-ს გენერალურ ასამბლეაზე
Sakpatenti Delegation at the WIPO General Assemblies

23 ივნისს საქართველოს კომპიუტერული თამაშების ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმი მიზნად ისახავს საინოვაციო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, ასევე, მჭიდრო თანამშრომლობას საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. მემორანდუმის ფარგლებში მხარდაჭერილი იქნება საქპატენტის IT ინკუბატორში შექმნილი წარმატებული პროექტები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

7 ოქტომბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტსა“ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის პოპულარიზაციასა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაზე მიმართული ერთობლივი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას.

## თანამშრომლობა ევროკავშირთან

საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) პროცესითა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში და რეგულარულად აწვდის შესაბამის უწყებებს ინფორმაციას მიმდინარე საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და საკოორდინაციო საქმიანობებზე.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 28 ნოემბერს ქ. ვილნიუსში, აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-3 სამიტის ფარგლებში, განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირება, ხოლო 2014 წლის 27 ივნისს ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების

mation technologies. Within the memorandum, the parties will implement target projects of common interest, which will support successful projects in the field of information technologies developed in the IT incubator of Sakpatenti.

4. On October 7 a Memorandum of Understanding was signed between Sakpatenti and the Georgian Bar Association. Among other matters, the Memorandum provides for planning and implementation of joint programs aimed at popularization of intellectual property law and development of educational activities.

## COOPERATION WITH THE EUROPEAN UNION

Sakpatenti actively cooperates with the European Union under the commitments stipulated by the European Neighborhood Policy (ENP) process and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) and regularly provides relevant offices with information on current legislative, educational and coordination activities.

It is noteworthy that during the 3rd Eastern Partnership Summit, held on November 28, 2013, in Vilnius, the Association Agreement between Georgia and the European Union was initialed, and on June 27, 2014 the Association Agreement with



ევროპაში საპატენტო დაცვის გარემოს ცვლილება. ლიტვა
Redifining landscape for Patent Protection in Europe. Lithuania





შეთანხმებას, რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2014 წლის 18 ივლისს. აღნიშნული შეთანხმების ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომლის მოლაპარაკების პროცესშიც 4 წლის მანძილზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქპატენტის თანამშრომლები. „DCFTA“-ს უმნიშვნელოვანესი ქვეთავი ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, რომელშიც გაწერილია ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა დარგის მარეგულირებელი ნორმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების ევროპულ კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას.

2014 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების იმპლემენტაცია. საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ მონაწილეობა მიიღო არაერთ შეხვედრაში, მათ შორის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პირველ სხდომაში, რომელიც გაიმართა 3 დეკემბერს ქ. ბრიუსელში.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში რეფორმის წარმატებით განხორციელების მიზნით, შემუშავდა 2014-2017 წლების სამი პუნქტისაგან შემდგარი სამოქმედო გეგმა და დაიწყო მისი განხორციელება, კერძოდ:

1. ორივე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლების მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფა და ამ უფლებების დაცვისათვის შესაბამისი მექანიზმების შემოღება.

- ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება.
- ინტელექტუალური საკუთრების მარე-

EU was signed in Brussels, which was ratified by the Parliament of Georgia on July 18, 2014. A part of the Agreement is the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA), in the negotiations of which Sakpatenti officials participated actively during 4 years. An important chapter of DCFTA is linked with intellectual property protection and it regulates norms of various fields of intellectual property. The document provides for further harmonization of the Georgian legislation with the EU legislation on intellectual property.

From September 1, 2014, implementation of trade related provisions of the Agreement started. Sakpatenti Chairman Nikoloz Gogilidze participated in a number of meetings, including the first session of EU-Georgia Association Committee in Trade Configuration, held on December 3, in Brussels.

For the purpose of successful implementation of reforms in the intellectual property field, three-step action plan for 2014-2017 was drafted and its implementation began, namely:

1. Ensuring protection of IP rights of both parties on the high level and introduction of relevant mechanisms for protection of these rights:




ქალთა გამოგონების საერთაშორისო ფორუმი კორეაში
Korea International Women's Invention Forum

გულირებელ საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება.

2. სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნეს უფლების მფლობელებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტური იმპლემენტაცია.

- მოსამართლეებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრეინინგების ჩატარება.

3. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება და უფლების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფა.

- სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენებისა და ფლაერების დაბეჭდვა.

2014 წლის განმავლობაში მომზადდა არაერთი ანგარიში, მათ შორის, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშები.

## თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (ისმო)

2014 წელი, გასული წლების მსგავსად, გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (ისმო) აქტიური თანამშრომლობით.

ჩატარდა სხვადასხვა ტრეინინგი და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიება.

გასულ წელს ისმო-ს მხარდაჭერ-

- Approximating Georgian legislation to the relevant EU legislation according to the commitments under the Association Agreement.
- Introducing amendments to the procedural legislation regulating intellectual property rights.

2. Ensuring proper functioning of the judicial system to guarantee access to justice for the rightholders and effective implementation of sanctions:

- Provide trainings for judges and attorneys on IPR related issues.

3. Implementation of measures aimed at raising public awareness on protection of intellectual property and industrial property and ensuring effective dialogue with right holders.

- Conduct seminars, workshops to increase public awareness.
- Publish informative Bulletins and flyers.

In 2014 a number of reports were prepared, among these on the implementation of the European Neighborhood Policy (ENP) process and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA).

## COOPERATION WITH THE WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION (WIPO)

Like previous years, the Year 2014 was distinguished by active cooperation with the World Intellectual Property Organization (WIPO).

A number of trainings and activities aimed at raising awareness took place.

Of the events organized by Sakpatenti last year with the support of WIPO, the following are noteworthy:

- Sub-Regional Workshop "Working Together for Promoting Knowledge Transfer and IP Commercialization in Geor-



ით საქპატენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- საქპატენტსა და ისმო-ს ერთობლივი რეგიონული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციისა და ცოდნის გადაცემის ხელშეწყობის თემაზე (თბილისი,10-11 მარტი, 2014).
- საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა: სამართლებრივი ასპექტები და ბრენდინგის სტრატეგიები" (თბილისი, 8-9 ოქტომბერი, 2014). ღონისძიების მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ასპექტების მნიშვნელობის ხაზგასმა, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების პროდუქტების კონკურენციული უპირატესობის წარმოჩენა და აღნიშნულ სფეროში თანამედროვე მიდგომებისა და მიღწევების გაზიარება.

2014 წელს საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ისმო-ს მიერ ორგანიზებულ არაერთ ტრეინინგში, სხდომასა თუ საკომიტეტო შეხვედრაში. ესენია:

- ისმო-ს საკოორდინაციო კომიტეტის და ისმო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების ფორუმი/შეხვედრა ისმო-ს გენერალური დირექტორის კანდიდატებთან (4 თებერვალი, ჟენევა, შვეიცარია);
- ისმო-ს საკოორდინაციო კომიტეტის 69-ე (25-ე რიგგარეშე) სხდომა (6-7 მარტი, ჟენევა, შვეიცარია);
- ისმო-ს აღსრულების საკონსულტაციო კომიტეტის მე-9 სესია (3-5 მარტი, ჟენევა, შვეიცარია);
- სასაქონლო ნიშნების, დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მუდმივმოქმედი კომიტეტის 31-ე სხდომა (17-21 მარტი, ჟენევა, შვეიცარია);
- განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის ინტელექტუალური საკუთრების განვითარების (CDIP) მე-13 სხდომის მოსამზადებელი არაოფიციალური შეხვედრა (24

gia" (Tbilisi, March 10-11, 2014).

- Regional Conference "Focusing on Geographical Indications: Legal Insights and Branding Strategies" (Tbilisi, October 8 and 9, 2014). The event was aimed to highlight the importance of the legal aspects of intellectual property, to demonstrate competitive advantage of goods marked with geographical indications and appellations of origin of and to share the modern approaches and achievements in this field.

In 2014 Sakpatenti employees participated in a number of trainings, sessions, committee meetings organized by WIPO. These are:

- Forum/meeting of Coordination Committee and other WIPO Members States with candidates for position of Director General (February 4, Geneva, Switzerland);
- Sixty-ninth (25th extraordinary) session of WIPO Coordination Committee (March 6-7, Geneva, Switzerland);
- Ninth session of Advisory Committee on Enforcement (March 3-5, Geneva, Switzerland);
- 31st session of the Standing Committee on the Law of trademarks, Industrial Designs and Geographical Indications (March 17-21, Geneva, Switzerland);
- Informal meeting in preparation for 13th session of the Committee on Development and Intellectual Property (CDIP) (April 24, Geneva, Switzerland);
- Fifty-third series of Meetings of the assemblies of the member States of WIPO (May 8-9, Geneva, Switzerland)
- Twenty-seventh session of Standing Committee on Copyright and Related Rights (April 28 - May 2, Geneva, Switzerland);
- Fifty-Fourth Series of Meetings of the

აპრილი, ჟენევა, შვეიცარია);

- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) წევრი სახელმწიფოების ასამბლეათა 53-ე სესიის სხდომა (8-9 მაისი, ჟენევა, შვეიცარია);
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების მუდმივმოქმედი კომიტეტის 27-ე სესია (28 აპრილი-2 მაისი, ჟენევა, შვეიცარია);
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) წევრი სახელმწიფოების ასამბლეათა 53-ე სესიის სხდომა (8-9 მაისი, ჟენევა, შვეიცარია);
- ისმო-ს წევრი სახელმწიფოების 54-ე ასამბლეა (22 – 30 სექტემბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის (CDIP) მე-13 სესია (19-23 მაისი, ჟენევა, შვეიცარია);
- ლისაბონის სისტემის განვითარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (23-27 ივნისი ჟენევა, შვეიცარია);
- საერთაშორისო ფორუმი საავტორო უფლებების, კრეატიულობისა და განვითარების შესახებ (15-17 სექტემბერი, ჩენგდუ, ჩინეთი);
- ადმინისტრაციული და სამართლის კომიტეტის, ადმინისტრაციული და სამართლის კომიტეტის მრჩეველთა ჯგუფის, საკონსულტაციო კომიტეტისა და UPOV საბჭოს სესიები (13-17 ოქტომბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- ლისაბონის სისტემის განვითარების სამუშაო ჯგუფის მეათე შეხვედრა (27-31 ოქტომბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- ლისაბონის გადასინჯული შეთანხმების მისაღებად დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის შეხვედრა (30-31 ოქტომბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის მე-14 სესია (10-14 ნოემბერი, ჟენევა, შვეიცარია);

Assemblies of the Member States of WIPO (September 22 – 30, Geneva, Switzerland);

- 13th session of the Committee on Development and Intellectual Property (CDIP) (May 19-23, Geneva, Switzerland)
- Working Group on the Development of the Lisbon System (Appellations of Origin) June 23-27, Geneva, Switzerland)
- International Forum on Copyright, Creativity and Development (September 15-17, Chengdu, China);
- Sessions of the Administrative and Legal Committee, the Administrative and Legal Committee Advisory Group, the Consultative Committee and the Council of UPOV (October 13-17, Geneva, Switzerland);
- Tenth Session of the Working Group on the Development of the Lisbon System (Appellations of Origin) (October 27-31, Geneva, Switzerland);
- Meeting of the Preparatory Committee for the Diplomatic Conference for the Adoption of a Revised Lisbon Agreement on Appellations of Origin and Geographical Indications (October 30-31, Geneva, Switzerland);



„SIPO" ტრეინინგ-სემინარი ინტელექტუალურ საკუთრებაზე
SIPO Training seminar on intellectual property





- სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო ნიმუშებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მუდმივმოქმედი კომიტეტის 32-ე სესია (24-26 ნოემბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის სისტემის შესახებ (20-21 ნოემბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- ტრეინინგის კურსი „PLUTO"-ს მონაცემთა ბაზის შესახებ მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV) ეგიდით (9-11 დეკემბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების მუდმივმოქმედი კომიტეტის 29-ე სხდომა (8-12 დეკემბერი, ჟენევა, შვეიცარია).

### ევროპის საპატენტო უწყება

2014 წელს საქპატენტისთვის მნიშვნელოვანი იყო ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO) ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება. ევროპის საპატენტო უწყებასა და საქპატენტს შორის ორწლიანი სამუშაო შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობის გასაღრმავებლად და ევროპის საპატენტო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის საკითხების განსახილველად საქპატენტის დელეგაცია 3-4 აპრილს ეწვია ევროპის საპატენტო უწყებას. საქპატენტის თავმჯდომარისა და ევროპის საპატენტო უწყების ვიცე-პრეზიდენტის, რაიმონდ ლუცის შეხვედრისას განხილული იქნა, ასევე, თანამშრომლობის გეგმები.

2014 წლის 26-28 ნოემბერს „EPO"-ს დელეგაცია საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორატის წარმომადგენლების, ფრანსუა რეჯისისა და ნინა ფორმბის ხელმძღვანელობით საპასუხო ვიზიტით ეწვია საქპატენტს.

ევროპის საპატენტო უწყებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში 2014 წელს საქპატენტის წარმომადგენლებმა

- 14th Session of the Committee on Development and Intellectual Property (CDIP) (November 10-14, Geneva, Switzerland)
- 32nd session of the Standing Committee on the Law of Trademarks, Industrial Designs and Geographical Indications (SCT) (November 24-26, Geneva, Switzerland);
- WIPO Seminar on the Madrid System for the International Registration of Marks (November 20-21, Geneva, Switzerland);
- Training course on Contributing data to the PLUTO database (December 9-11, Geneva, Switzerland);
- Twenty-Ninth Session of the Standing Committee on Copyright and Related Rights (December 8-12, Geneva, Switzerland).

### EUROPEAN PATENT OFFICE

The Year 2014 was significant for Sakpatenti to further strengthening relations with the European Patent Office (EPO). Within the Biennial Programme of co-operation activities between the European Patent Office (EPO) and Sakpatenti, in order to deepen cooperation and to discuss issues of integration of Georgia in the European patent system, on April 3-4 a delegation of Sakpatenti visited the European patent Office. During the meeting of Sakpatenti Chairman and Vice-President of the European Patent Office Mr. Raimund Lutz on April 3-4 cooperation plans were discussed.

On November 26-28, 2014, EPO delegation, headed by Director of European and International Cooperation Department Mr. Francois Régis Hannart and Country Officer International Cooperation Mrs. Nina Formby, paid a return visit to Sakpatenti.

მონაწილეობა მიიღეს:

- 7-9 მაისს, მიუნხენში გამართულ ტრეინინგში თემაზე „დაპატენტება ქიმიის დარგში";
- 7-11 ივლისს, მიუნხენში ინტელექტუალური საკუთრების აღმასრულებლების კვირაში.

### თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან

რიგი პროექტების განხორციელების მიზნით, 2014 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთანაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამასთან (CLDP).

2014 წელს აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის CLDP-ის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. მათ შორის:

- 11-12 ივნისს, ბათუმში ჩატარდა სემინარი კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- 13-14 ივნისს, ბათუმში ჩატარდა სემინარი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევებთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეების შესწავლის მიზნით;
- 5-6 ნოემბერს, თბილისში, ჩატარდა კონფერენცია კოლექტიური მართვის ორგანიზაციებთან დაკავშირებით;
- 19-20 სექტემბერს, თბილისში, სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეებისათვის ჩატარდა სემინარი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში.

საქპატენტმა და გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) 2014 წელს დასახეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, რაც მოიცავს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის (საქპატენტის თანამშრომლები, მოსამართლეები, ბიზნეს სექტორი, მასმედიის წარმომად-

Within the memorandum of understanding concluded with the EPO, in 2014 Sakpatenti representatives participated in:

- European Patent Academy seminar Patenting in Chemistry (May 7-9, Munich, Germany);
- IP Executive Week (July 7-11, Munich, Germany).

### COOPERATION WITH INTERNATIONAL DONOR ORGANIZATIONS

In 2014 cooperation continued with international donor organizations for implementation of a number of projects. In this regard, cooperation with Commercial Law Development Program (CLDP) of the United States Department of Commerce is noteworthy.

With the support of CLDP of the United States Department of Commerce, in 2014 several significant events were organized, among these:

- Workshop on Adjudication of Cybercrime Cases (June 11-12, Batumi, Georgia);
- Workshop on Adjudication of Civil Intellectual Property Infringement Cases (June 13-14, Batumi, Georgia);
- Collective Copyright Management Conference (November 5-6, Tbilisi, Georgia).

### GERMAN INTERNATIONAL COOPERATION

In 2014 Sakpatenti and German International Cooperation Agency (GIZ) outlined plans for future cooperation, which includes assistance in raising awareness and capacity building of various target groups (Sakpatenti staff, judges, business sector, mass media), in replenishing of Sakpatenti library and in translation and publishing

გენლები) ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას, საქპატენტის ბიბლიოთეკის განახლებას, მთარგმნელობითი და ბეჭდვითი საქმიანობის მხარდაჭერას.

გასული წლის 20 სექტემბერს, თბილისში „GIZ"-ის მხარდაჭერით გაიმართა სემინარი საქპატენტის ექსპერტთათვის, რომელზეც განიხილებოდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს უახლესი პრაქტიკის ჭრილში.

2014 წელს საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ საერთაშორისო ღონისძიებებში, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს:

- დსთ-ს ქვეყნების საპატენტო-საინფორმაციო პროდუქტის CD-ROM დისკებზე გამოშვების პროექტის საკოორდინაციო საბჭოს სხდომა (8-9 აპრილი, მინსკი, ბელარუსი);
- სამუშაო შეხვედრა ყირგიზეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების სახელმწიფო სამსახურში „ყირგიზპატენტში" (28-29 მარტი, ბიშკეკი, ყირგიზეთის რესპუბლიკა);
- სამუშაო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოში (16-18 აპრილი, ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა);
- საერთაშორისო კონფერენცია: „სამრეწველო ნიმუშები: წარსული, აწმყო და მომავალი" (24 აპრილი, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია);
- ასტანის VII ეკონომიკური ფორუმი „ანტიკონტრაფაქტი" (21-23 მაისი, ასტანა, ყაზახეთი) ;
- რეგიონული სემინარი: „მრავალმხრივი სამართლებრივი ჩარჩო და გამოცდილება ფარმაცევტულ სფეროში

activities.

On September 20, with the support of GIZ a Seminar for Sakpatenti examiners was held in Tbilisi. During the seminar, issues linked with absolute grounds for refusal of trademark registration in light of recent practice of the European Court of Justice were discussed.

In 2014 Sakpatenti representatives also participated in a number of international events, including:

- Coordination Council of the Project on Commercial Scale Issue of the Regional Patent Information Product of the CIS countries on CD-ROMs (April 8-9, Minsk, Belarus)
- Visit to State Service of Intellectual Property and Innovation under the Government of the Kyrgyz Republic (March 28-29, Bishkek, Kyrgyz Republic)
- Visit to the Intellectual Property Agency of the Republic of Armenia (April 16-18, Yerevan, Republic of Armenia);
- International conference: "Industrial Designs: Past, Present and Future" (April 24, Moscow, Russian Federation);
- VII Astana Economic Forum and II World Anti-crisis Conference (May 21-23, Astana, Kazakhstan);
- Regional Seminar on the Multilateral Legal Framework and practice on Patent Protection in the Pharmaceutical Field (May 27-28, Issyk Kul, the Kyrgyz Republic);
- Study visit to the Israel patent office (ILPO) and business incubators (May 28-29, Jerusalem, Israel);
- International conference "Industrial Property Rights Protection in Europe" on the occasion of the 95th anniversary of the Industrial Property Office of the Czech Republic (September 9, Prague, Czech Republic);

პატენტების გაცემის თაობაზე" (27-28 მაისი, ისიკ-ყული, ყირგიზეთი);

- სასწავლო ვიზიტი ისრაელის საპატენტო უწყებასა და ბიზნეს ინკუბატორებში (28-29 მაისი, იერუსალიმი, ისრაელი);
- საერთაშორისო კონფერენცია „სამრეწველო საკუთრების უფლებები ევროპაში" ჩეხეთის რესპუბლიკის სამრეწველო საკუთრების უწყების დაარსების 95-ე წლისთავი (9 სექტემბერი პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა) ;
- NoGap პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრა სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტში (22-28 სექტემბერი, ნიტრა, სლოვაკეთი);
- სასწავლო კურსი „კონკურენციის სამართლის პოლიტიკა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები"(24 სექტემბერი – 3 ოქტომბერი, სინგაპური);
- რეგიონული კონფერენცია „ევროპაში პატენტის დაცვის მახასიათებლების ხელახლა განსაზღვრა" (9 ოქტომბერი, ვილნიუსი, ლიტვა);
- საერთაშორისო სასწავლო პროექტი იდეის, გამოგონების, ინოვაციისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (3-14 ნოემბერი, სეული, კორეა)
- სემინარი პეკინის ეკონომიკური და ტექნოლოგიური ზონის განვითარების შესახებ (14 მაისი-3 ივნისი, პეკინი, ჩინეთი);
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული ჯგუფის შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით (9-13 დეკემბერი, ვენა, ავსტრია).

საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს ეკონომიკური კომისიების სხდომებში. კერძოდ:

- საქართველო-ჩეხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა (18-19 თებერვალი, პრაღა, ჩეხეთი)
- საქართველო-პოლონეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომა და საინვესტიციო ფორუმი (1-2 ივლისი, ვარშავა, პოლონეთი)
- საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მე-6 სხდომა (23-24 ოქტომბერი, ჩენდუ, ჩინეთი)
- საქართველო-უნგრეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მეორე სხდომა (30-31 ოქტომბერი, ქ. თბილისი).

- NoGAP Project Steering Committee Meeting and the Twinning meeting at the Slovak University of Agriculture (September 22-28, Nitra, Slovakia);
- Course on Competition Law Policy and Intellectual Property Rights (September 24 – October 3, Singapore);
- Regional conference: Redefining Landscape for Patent Protection in Europe (October 9, Vilnius, Lithuania);
- International Educational Project on Idea, invention, Innovation and Intellectual Property – Seed Project 2014 (November 3-14, Seoul, Korea);
- Practical Program for Euro-Asian Countries on China's Development Experiences (PPCDE) (May 14-June 3, Beijing, China);
- WTO Regional Workshop on Intellectual Property Rights (December 9-13, Vienna, Austria);

Sakpatenti employees participated in sessions of joint economic committees of Georgia with various countries:

- Meeting of the Joint Committee based on the Agreement between the Government of the Czech Republic and the Government of Georgia on the Economic and Industrial Cooperation (February 18-19, Prague, Czech Republic);
- 4th session of the Georgian-Polish Intergovernmental Commission for Economic Cooperation and Investment Forum of Georgia (July 1-2, Warsaw, Poland);
- 6th session of the Georgian-Chinese Intergovernmental Commission for Economic Cooperation (October 23-24, Chengdu, China);
- 2nd session of the Georgian-Hungarian Intergovernmental Commission for Economic Cooperation (October 30-31, Tbilisi, Georgia).



# მრავალმხრივი ხელშეკრულებები
## MULTILATERAL AGREEMENTS

| სახელწოდება | მიერთების თარიღი DATE OF ACCESSION | TITLE |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია | 25.12.1994 | The WIPO Convention |
| სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია | 25.12.1994 | The Paris Convention for the Protection of Industrial Property |
| საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება | 25.12.1994 | Patent Cooperation Treaty |
| ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია | 16.05.1995 | The Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works |
| ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი | 20.08.1998 | Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks |
| შეთანხმება ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ (დსთ) | 04.06.1999 | Agreement on Measures for Prevention and Repression of use of False Trademarks and Geographical Indications (CIS) |
| შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება) | 14.06.2000 | Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (WTO The TRIPS Agreement) |
| შეთანხმება ერთობლივი რეგიონული საპატენტო-საინფორმაციო პროდუქტის ოპტიკურ დისკებზე CD-ROM გამოშვების შესახებ | 22.05.2001 | Agreement on production of joint regional patent-information product on optical discs CD-ROMs |
| ისმო-ს საავტორო უფლებების ხელშეკრულება | 06.03.2002 | The WIPO Copyright Treaty |
| ისმო-ს შესრულებებისა და ფონოგრამების ხელშეკრულება | 20.05.2002 | The WIPO Performances and Phonograms Treaty |
| საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციის მიზნებისათვის | 28.02.2003 | The Nice Agreement Concerning the International Classification of Goods and Services for the Purposes of the Registration of Marks |
| სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმება | 01.08.2003 | The Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტი სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ | 23.12.2003 | The Geneva Act of the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება | 23.09.2004 | The Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration |
| საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ (რომის კონვენცია) | 14.08.2004 | International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations (The Rome Convention) |
| ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ | 30.09.2005 | The Budapest Treaty on the International Recognition of the Deposit of Microorganisms for the purposes of the Patent Procedure |
| მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV-ის კონვენცია) | 29.10.2008 | The International Union for the Protection of New Varieties of Plants (UPOV) |

# ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ
# BILATERAL AGREEMENTS

| ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ<br>ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲘ | ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ<br>DATE OF SIGNING | TITLE<br>INTEROFFICE AGREEMENTS |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ოქმი საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო უწყების დელეგაციის ავსტრიის საპატენტო უწყებაში ოფიციალური ვიზიტის შესახებ | 03.09.1993 | Protocol of Visit of the Patent Office of Georgia to the Patent Office of Austria |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ საქართველოს საპატენტო უწყებასა და გერმანიის საპატენტო უწყებას შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით | 17.10.1997 | Memorandum of Understanding on the negotiations between the Georgian Patent Office and the German Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ეროვნულ ინსტიტუტს შორის ძირითადი და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 15.01.1998 | Agreement on Cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the National Industrial Property Institute of France in the Field of Main and Technical Documentation Exchange |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და თურქეთის საპატენტო ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის შესახებ | 13.03.1998 | Cooperation Agreement between the Turkish Patent Institute and the Georgian Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და რუმინეთის საპატენტო უწყებას შორის თანამშრომლობის შესახებ | 01.07.1998 | Agreement on Cooperation between the Patent Office of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of Romania |
| პროტოკოლი განზრახვის შესახებ საპატენტო დაწესებულებებს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით (აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, ტაჯიკეთის რესპუბლიკებს შორის) | 12.11.1998 | Protocol of Intent concerning cooperation among the patent institutions on the protection of industrial property (Between Republic of Azerbaijan, Georgia, Republic of Kazakhstan, Republic of Kyrgyzstan, Mongolia, Republic of Tajikistan, Republic of Turkey) |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ბულგარეთის საპატენტო უწყებას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 31.05.2001 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of the Republic of Bulgaria on Cooperation in the field of Industrial Property |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ლატვიის საპატენტო უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლაზე. | 26.05.2006 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of Latvia on Information Exchange. |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ბიუროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს შორის | 16.06.2008 | Memorandum of Understanding between the State Patent Bureau of the Republic of Lithuania and the National Intellectual Property Center of Georgia |



| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| შეთანხმება საქართველოსა და უნგრეთის საპატენტო უწყებებს შორის თანამშრომლობაზე | 22.09.2010 | Agreement on cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and Hungarian IP Office |
| თანამშრომლობის პროგრამა საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებას შორის | 09.02.2011 | Program of Cooperation Activities between Sakpatenti and the European Patent Office |
| ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტს შორის | 4.05.2011 | Memorandum of Bilateral Cooperation Between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the United States Patent and Trademark Office |
| შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს" და დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას შორის | 26.09.2011 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Danish Patent and Trademark Office |
| ოქმი თანამშრომლობის შესახებ ისრაელის საპატენტო უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს" შორის | 28.09.2011 | Declaration of Intent on the cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Israel Patent Office |
| საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტსა" და ბელორუსის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ცენტრს შორის შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ | 24.11.2011 | Memorandum of Understanding between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the National Intellectual Property Center of the Republic of Belarus |
| თანამშრომლობის შეთანხმება ისმოსა და საქპატენტს შორის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის ბიზნეს სერვისების განვითარების (IPAS) შესახებ | 29.09.2011 | WIPO Cooperation Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the World Intellectual Property Organization for the Development of Intellectual Property Office Business Services |
| ოქმი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის ცენტრების (TISC) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ | 30.09.2011 | WIPO Cooperation Agreement on establishment of Technology and Innovation Support Centers (TISCs) |

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| მთავრობათაშორისი შეთანხმებები | | INTERGOVERNMENTAL AGREEMENTS |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 28.05.1996 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of the Republic of Uzbekistan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 11.11.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Kazakhstan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 05.12.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Turkmenistan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 21.09.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Government of the Republic of Armenia in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 07.12.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Cabinet of Ministers of Ukraine in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 11.02.2004 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Russian Federation in the Field of Intellectual Property Protection |
| შეთანხმება საქართველოსა და უკრაინას შორის ღვინის, სპირტიანი სასმელისა და მინერალური წყლის გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი ურთიერთდაცვის შესახებ | 01.03.2007 | Agreement on Cooperation between Georgia and Ukraine on Mutual Legal Protection of Geographical Indications of Wines, Spirits and Mineral Waters |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 20.05.2009 | Agreement between the Government of Georgia and Government of Republic of Azerbaijan on the protection of Industrial Property |
| „ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 1997 წლის 11 ნოემბრის შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შესახებ ოქმი". | 21-23.06.2014 | Protocol on Amending the Agreement on Cooperation between the Government of the Republic of Kazakhstan and the Government of Georgia in the Field of Industrial Property Protection of November 11, 1997" |



# მემორანდუმები
## MEMORANDUMS

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| თანამშრომლობის პროგრამა საპატენტო კოოპერაციის (PCT) ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ საპატენტო საკითხებზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტსა" და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (ისმო) შორის | 18.12.2008 | Cooperative Work Program in Relation to the Patent Cooperation Treaty (PCT) and Associated Patent Matters between the National Intellectual Property Center of Georgia (Sakpatenti) and the International Bureau of the World Intellectual property Organization (WIPO) |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქპატენტს შორის | 26.04.2010 | Memorandum of Understanding between Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 17.07.2010 | Memorandum of Understanding between the Business Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ღვინის ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 15.12.2010 | Memorandum of Understanding between the Wine Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობის შესახებ | 25.01.2011 | Memorandum of Understanding with the GIZ on support on Technology and Innovation Transfer in German International Cooperation |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან | 7.02.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian State Agrarian University |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბიზნეს პროგრამების ალიანსთან | 5.04.2011 | Memorandum of Understanding with the Business Software Alliance |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან | 4.05.2011 | Memorandum of Understanding with the Office of the State Minister of Georgia for Diaspora Issues |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან | 22.06.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian National Museum |
| თანამშრომლობის მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Ilia State University |
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian Technical University |
| თანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის დაფუძნების შესახებ | 20.02.2012 | Memorandum of Understanding with the GIZ on Establishment of Georgian Technology Transfer Center |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| თანამშრომლობის პროგრამა საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებას შორის 2013-14 წწ. | 15.03.2013 | Program of Cooperation Activities between Sakpatenti and the European Patent Office 2013-14 |
| შეთანხმება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს „საქპატენტსა" და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყებას შორის თანამშრომლობის შესახებ | 07.10.2013 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti" and the State Intellectual Property Office of the People's Republic of China |
| შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ავსტრიის საპატენტო უწყებას შორის | 25.09.2013 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia and the Austrian Patent Office |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტსა და მოლდოვას რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს შორის | 04.06.2013 | Memorandum of Understanding between the National Intellectual Property Center of Georgia (Sakpatenti) and the state Agency on Intellectual Property of the Republic of Moldova |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ – „საქპატენტსა" და პოლონეთის რესპუბლიკის საპატენტო უწყებას შორის თანამშრომლობის შესახებ | 23.09.2014 | Agreement on Cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia and the Patent Office of the Republic of Poland |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უკრაინის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სამსახურსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტს შორის | 23.09.2014 | Memorandum of understanding between the State Intellectual Property Service of Ukraine and the National Intellectual Property Center of Georgia |
| შეთანხმება ისრაელის საპატენტო უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს შორის ისრაელის საპატენტო უწყების საერთაშორისო საძიებო ორგანოსა (ISA) და წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის ორგანოს (IPEA) ფუნქციით მოქმედების შესახებ საპატენტო საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებულ ზოგიერთ საერთაშორისო განაცხადთან დაკავშირებით | 23.09.2014 | Arrangement between the Israel Patent Office and the National Intellectual Property Center of Georgia Concerning Action of the Israel Patent Office as an International Searching Authority and Preliminary Examining Authority under the Patent Cooperation Treaty for Certain International Applications Received by the National Intellectual Property Center of Georgia |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სომელიეთა ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 31.01.2014 | Memorandum of Understanding between the Association of Sommeliers and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობასა (ICC Georgia) და საქპატენტს შორის | 25.02.2014 | Memorandum of Understanding between the International Chamber of Commerce (ICC) Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპიუტერული თამაშების ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 23.06.2014 | Memorandum of Understanding between the Computer Games Association and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 07.10.2014 | Memorandum of Understanding between the Georgian Bar Association and Sakpatenti |

# საინფორმაციო საქმიანობა

## საგამომცემლო საქმიანობა

საქპატენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს საპატენტო ინფორმაციის გავრცელებასა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცოდნის ამაღლებას. აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს საქპატენტის საგამომცემლო განყოფილება თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარებით აღჭურვილი სტამბის მეშვეობით. გეგმიური გამოცემების გარდა, განყოფილების ყოველდღიური საქმიანობა მოიცავს, საქპატენტის სხვა დეპარტამენტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, დარგობრივი ლიტერატურისა და სხვადასხვა საინფორმაციო მასალების გამოსაცემად მომზადებასა და ბეჭდვას.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საგამომცემლო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა „სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის" გამოცემას, რომელიც გამოდის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის ქართულენოვანი გამოცემა გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის 10 და 25 რიცხვებში, რასაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რადგან, სწორედ, ბიულეტენის გამოსვლის თარიღიდან აითვლება ის ვადები, რომლის განმავლობაშიც მესამე პირებს შესაძლებლობა ეძლევათ გაასაჩივრონ ექსპერტიზის გადაწყვეტილებები სასამართლოში ან საქპატენტის სააპელაციო პალატაში. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ბიულეტენების ქართულ ენაზე გამოცემის კვალდაკვალ ანალოგიური ბიულეტენის ინგლისურ ენაზე გამოცემის მიზნით, მიმდინარეობს მასალების ინგლისურ ენაზე თარგმნა.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენებში ქვეყნდება იმ ობიექტების მონაცემები, რომლებზეც გამოტანილია ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება, ასევე, ოფიციალური შეტყობინებები, ინფორმაცია რეესტრში შეტანილი ცვლილებების შესახებ (მფლობელის სახელისა და მისამართის ცვლილება, რეგისტრაციის ბათილად ცნობა, გაუქმება, უფლებათა გადაცემა და სხვა). ბიულეტენების ბოლოს განთავსებულია სისტემური საძიებლები, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია საქპატენტში სარეგისტრაციოდ შემოტანილი თუ რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს მოიძიონ გამოქვეყნებული ობიექტები საერთაშორისო კლასიფიკაციებისა და ისმო-ს სტანდარტების შესაბამისი ინდექსების ან სხვა მონაცემების მიხედვით.

საქპატენტის საგამომცემლო განყოფილებაში გასულ 2014 წელს გამოიცა გეგმით გათვალისწინებული 24 ქართულენოვანი ბიულეტენი (№№1(389)-24(412). შესაბამისად, გასული წლის მანძილზე ითარგმნა და დადგენილი სტანდარტის შესაბამისად გამოიცა 24 ინგლისურენოვანი ბიულეტენიც. ქართულენოვანი ბიულეტენები უსასყიდლოდ მიეწოდათ საქართველოს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებს. ყველა ბიულეტენის ელექტრონული ვერსია კი იმავე დღეს განთავსდა საქპატენტის ვებგვერდის შესა-

# INFORMATION ACTIVITY

## PUBLISHING ACTIVITY

From the viewpoint of dissemination of patent information and raising public awareness in the intellectual property field, one of the significant basic directions of Sakpatenti activity is publishing activity, which is carried out by the Editorial-Publishing Section of Sakpatenti by means of the printing-office equipped with modern polygraphic facilities. Along with the current works, the activity of the Section includes preparation for publication and printing of specialized literature and various information materials.

Of the current works, the Official Bulletin of Industrial Property is noteworthy, which is published by the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti according to the requirements of Article 12(2) of the Paris Convention, similar to IP offices of all member states of WIPO. The Bulletin includes the data, pre and post registration, concerning objects for which a favourable decision of examination is taken, as well as official notifications, information on changes recorded in the Register (change of owner's name and address, cancellation of registration, nullity, transfer of rights, etc.) are also published in the Bulletin. Each issue of Bulletin is printed with classification indexes where information is offered on IP objects submitted for registration or registered at Sakpatenti, which allows interested persons to search published objects according to international classifications and relevant indexes of WIPO standards or other data.

The Bulletin in the Georgian language is issued twice a month, on the 10th and 25th of each month. This has legal significance, as from this date the terms will be counted during which third parties may oppose decisions of the examination at Court or the Chamber of Appeal of Sakpatenti.

In 2013 the Publishing Section of Sakpatenti printed planned 24 Georgian-language issues of the Bulletin (N1(365) – N24(388). The electronic version of all issues were published on the sakpatenti website on the same day and were disseminated free of charge to educational and research institutions and libraries of Georgia.

Noteworthy enough, along with the publishing of the Official Bulletin of Industrial Property in the Georgian language, all issues of the Official Bulletin are translated and published in English. Last year, the English-language version of 24 issues of the Official Bulletin were translated and published according to the established standard. They were published in the English-language part of the Sakpatenti website and were sent to foreign patent offices.

Along with the Official Bulletin of Industrial Property, Sakpatenti issues in the Georgian and English languages the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds. The frequency of its publication depends on the number of applications filed with Sakpatenti with the request of registration of new plant varieties and animal breeds.




ბამის ნაწილში.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გარდა, საქპატენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცემს „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენსაც", რომლის გამოცემის პერიოდულობა დამოკიდებულია ახალი ჯიშის რეგისტრაციის მოთხოვნით საქპატენტში შემოსული განაცხადების რაოდენობაზე. გასულ 2014 წელს გამოიცა ახალი ჯიშების 7 ბიულეტენი (№№1(18) – №7(24)), რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცათ განმცხადებლებს. ყველა ნომერი ხელმისაწვდომია, ასევე, საქპატენტის ბიბლიოთეკასა და ვებგვერდზე.

სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში მიმდინარე სამუშაოთა დიდ ნაწილს მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელების ადგილობრივი თუ საერთაშორისო განაცხადების აღწერილობებისა და რეფერატების რედაქტირება. გასულ წელს ამ სამუშაოებმა მოიცვა 243-მდე აღწერილობა და რეფერატი.

საქპატენტი პერიოდულად გამოსცემს დარგობრივ პუბლიკაციებს, საცნობარო და პოპულარულ ლიტერატურას, რითაც ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას.

სტამბაში არსებული თანამედროვე

In 2013, 4 issues of the Bulletin were published (N1(14) – N5(17), which were sent free of charge to the applicants and to profile research institutions. At the Sakpatenti library and website all issues are available to general public.

A major part of works at the Editorial-Publishing Section covers editing of specifications and abstracts of local and foreign applications for inventions and utility models. Last year up to 350 specifications and abstracts were edited.

Sakpatenti periodically issues specialized publications, reference and popular literature, thereby facilitating raising public awareness in the intellectual property field.

The modern polygraphic facilities available in the printing-office allow issuing over a short period of time high standard polygraphic production in necessary format. Last year two issues of the periodical *IP Georgia* were published. It is noteworthy that the foundation for this publication was laid in 2012, and the first issue of the magazine was presented on April 26, during the celebration on occasion of the World Intellectual Property Day. Chairman of Sakpatenti Mr. Irakli Ghvaladze noted then that the



პოლიგრაფიული დანადგარები საშუალებას გვაძლევს მაღალი ხარისხით უმოკლეს დროში გამოვცეთ ყველა საჭირო ფორმატის პროდუქცია. გასულ წელს გამოვიდა შემეცნებით-პოპულარული ჟურნალის „IP საქართველოს" ორი ნომერი. მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის გამოცემის თითოეული ჟურნალიდან მკითხველი გაეცნო პოპულარული ენით დაწერილ, ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ, საინტერესო სტატიებს. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა განახლებული ჟურნალის გამოცემის მიზნით, რომელიც გამოვა შეცვლილი ფორმატით და იქნება სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის.

გასულ წელს გამოიცა საქპატენტის 2013 წლის ანგარიში, რომელშიც, საქპატენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, აისახა შესრულებული სამუშაოები და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. ტრიპლეტი და ფლაერი „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები", რომელშიც მკითხველისთვის გასაგები ენით მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტის არსი და დაცვის მნიშვნელობა. გამოიცა, ასევე: ტრიპლეტი „არა სიყალბეს", ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის ბუკლეტი და ფლაერი.

ტრადიციულად, წლის ბოლოს გამოიცა 2015 წლის სამაგიდე და კედლის კალენდარი, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ჰოლანდიელი ფერმწერისა და პოსტმოდერნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვინსენტ ვან გოგის შემოქმედებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქპატენტში მიმდინარე პოლიგრაფიული სამუშაოების დიდ ნაწილს მოიცავს უწყების საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ბეჭდვა. კერძოდ, გასულ წელს დაიბეჭდა 28710 ერთეული დამცავი დოკუმენტი და საფირმო ბლანკი, 1515 ცალი საქაღალდე რეკვიზიტებით დამცავი დოკუმენტებისთვის, 2200 ერთეული

magazine would become a place to present publicly and discuss one of the most valuable assets of our country – intellectual property. Indeed, every issue of well-illustrated, high polygraphic edition is distinguished by interesting articles linked with the intellectual property field, written in the popular language, which are greatly enjoyed by readers.

In 2013 an information triplet *Design* was published at Sakpatenti, in which the significance of this IP object and procedure of filing an application with Sakpatenti are offered.

Last year the Annual Report of Sakpatenti for 2012 was published, in which the work carried out according to the basic directions of Sakpatenti activity and relevant statistical data were reflected.

Traditionally, at the end of the reporting year, a large-format wall calendar for 2014 was published on the topic of Georgian appellations of origin and geographical indications.



ბლოკნოტი და საპრეზენტაციო მასალა სემინარებისთვის, 830 სხვადასხვა მისალოცი და მოსაწვევი ბარათი, ასევე, 15800-მდე მცირეფორმატიანი სარეზოლუციო და საშვის ბარათები და სხვ.

საქპატენტის სტამბაში მრავლდება და იკინძება რეგისტრირებული პატენტების აღწერილობები, რომლებიც გაიცემა თითოეულ გამომგონებელზე დამცავ დოკუმენტებთან ერთად, თითო ეგზემპლარი კი ინახება საქპატენტის ბიბლიოთეკაში. შესაბამისად, ტირაჟისა და მოცულობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები შეადგენს საქპატენტის პოლიგრაფიის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგალითად, გასულ 2014 წელსაც გამრავლებულმა და აკინძულმა პატენტების აღწერილობების საერთო რაოდენობამ შეადგინა 505 ერთეული (სულ 16160 ფურცელი).

აღსანიშნავია, რომ საქპატენტი პოლიგრაფიული სამუშაოების შესრულებით მონაწილეობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებაში. მაგალითად, გასულ წელს გამოიცა: საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ჟურნალის "COPYRIGHT" 2 ნომერი და ფლაერი „ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას", ასევე, აფიშები განათლების სამინისტროსა და ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებული ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VIII საერთაშორისო ოლიმპიადისთვის, საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანების ბროშურა „ქართული მარანი", საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ჟურნალი „ღვინო", ბუკლეტი „ახალი ღვინის ფესტივალი", ყველის მწარმოებელთა გილდიის ბუკლეტი „ქართული ყველის 80 საუკუნე" და სხვა.

Along with the above-mentioned, a great part of the polygraphic works at Sakpatenti includes printing documents necessary for office proceedings. In particular, last year 28800 titles of protection and letterheads, 2830 folders with requisites for titles of protection, 1387 notebooks and presentations for seminars, 650 greeting and invitation cards, as well as up to 193000 small-format resolution cards and passes were printed, etc.

Specifications of registered patents are also multiplied and bound at the Sakpatenti printing-office, which are issued to each inventor together with titles of protection, whereas one copy is kept at Sakpatenti library. Thus, taking into account the number of copies and volume, these works form a considerable part of polygraphic activities of Sakpatenti. E.g. in 2013, the total number of the multiplied and bound patent specifications was 555 items (29370 pages).

It should be mentioned that by carrying out its polygraphic works Sakpatenti participates in the organization of various events linked with the intellectual property field. Thus, in 2013 the following materials were published: flyers *Don't Violate Copyright* for the event of the Georgian Copyright Association, posters for the 7th International Olympiad of Young Scientists and Inventors, organized by the Ministry of Education and Chaglar Educational Institutions, flyers for the new wine festival and booklets *Gift from the Monastery*, invitation cards for the event of the Wine History Foundation and pocket calendars for the Public Broadcaster.



# ვებგვერდი

საქპატენტის საქმიანობისა და, ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა საქპატენტის ვებგვერდი, რომელსაც ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის ინტერნეტქსელში ჩართვის გაფართოების გამო სულ უფრო დიდი როლი დაეკისრა.

ვებგვერდზე ინფორმაცია მოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოიცავს არა მხოლოდ დეტალურ ინფორმაციას უწყებაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, არამედ ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას, დეტალურ ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების თითოეული ობიექტის შესახებ და, რაც მთავარია, ეროვნულ მონაცემთა ბაზებს მოქნილი საძიებო სისტემით. აქვეა საქართველოს პატენტრწმუნებულებისა და საქპატენტის ხელმძღვანელი პირების საკონტაქტო მონაცემები და ბმულები სხვა ორგანიზაციათა ვებგვერდებთან და სხვ.

გასულ 2013 წელს, ინფორმაციის გამჭვირვალობისადმი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, საქპატენტის ვებგვერდზე გრძელდებოდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენების, სიახლეების, იურიდიული ხასიათის მასალებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატიულად განთავსება, ამასთანავე, პერმანენტულად ახლდებოდა სამრეწველო საკუთრების ობიექტების მონაცემთა ბაზები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

აღსანიშნავია, რომ ვებგვერდს დაე-

# WEBSITE

In the recent years the website of Sakpatenti had an increasingly important role due to the growth of Internet usage in Georgia. The website is one of the most accessible means for informing the general public on the activities and current news in the field of intellectual property.

Information is offered in the Georgian and the English languages. It contains detailed information not only about the activities of the Office but also legislation regulating the intellectual property field, detailed information on each object of intellectual property and national databases with flexible search systems. Contact details of patent attorneys of Georgia and the management of Sakpatenti, links to websites of other organizations, etc. are also displayed.

In 2013, taking into account the up-to-date requirements for information transparency, the Official Bulletin of Industrial Property, legal materials and other information were published regularly on the website. Along with this, databases of industrial property objects were updated permanently in Georgian and English.

Noteworthy, a special link was added to the website which allows electronic filing of trademark applications with Sakpatenti. Works are underway for formation of the electronic filing system and administration of applications for inventions and designs, launching of which is planned for the next year.

In addition, with direct help of the United States Agency for International De-

მატა სპეციალური ბმული, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სასაქონლო ნიშნებზე განაცხადების საქპატენტში ელექტრონულად წარდგენა. უკვე მიმდინარეობს სამუშაოები გამოგონებებზე და დიზაინზე განაცხადების ელექტრონულად წარდგენისა და ადმინისტრირების სისტემის შესაქმნელად, რომლის ექსპლუატაცია მომავალ წელს დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) უშუალო დახმარებით, მომავალ წელს დაგეგმილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, პრინციპულად ახალი და ტექნიკურად სრულყოფილი ვებგვერდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საქპატენტის ბაზებში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სხვადასხვა პარამეტრით გამარტივებულ ძიებასა და მეტი ინფორმაციისადმი თავისუფალ წვდომას.

velopment (USAID), we are planning to develop a modern, technologically advanced website which will have several complex functions, one of them which is to search different objects of the intellectual property database for registrations, as well as electronic document system within the organization.



# ბიბლიოთეკა

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" ბიბლიოთეკაში, რომელიც ქ. მცხეთაში, საქპატენტის სათაო ოფისშია განთავსებული, ყველა პირობაა შექმნილი ბიბლიოთეკის მომხმარებელთა სწრაფი და ეფექტური მომსახურებისათვის. საქპატენტის ბაზაზე არსებული ბიბლიოთეკა, უკვე მრავალი წელია, დიდ როლს ასრულებს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში. ბიბლიოთეკაში დაცულია ადგილობრივი და უცხოური საპატენტო ინფორმაციის უნიკალური და მუდმივად განახლებადი ფონდი.

ბიბლიოთეკის მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია: ევროპის საპატენტო უწყების მონაცემთა ბაზები (INPADOC და SPACENET), ევრაზიის საპატენტო ორგანიზაციის (EAPATIS), აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების, როსპატენტის, გერმანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების (DEPATISNET) მონაცემთა ბაზები, აგრეთვე, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების რეგიონის პატენტები (ESPACEPRECES), GPI (Global Patent Index) და სხვა საძიებო სისტემები.

2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქპატენტის ბიბლიოთეკაში არსებული ეროვნული საპატენტო ფონდი მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტების 8300-მდე აღწერილობას, რომლებიც ინახება ელექტრონულ მატარებლებზე, სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენებისა და საერთაშორისო კლასიფიკატორების შესაბამისად შედგენილი სისტემური და ნუმერაციული კატალოგების სახით.

საზღვარგარეთის ქვეყნების საპატენტო ინფორმაციამ, მათ შორის, ინტელე-

# LIBRARY

At the Library of the National Intellectual Property Center, located in the main building of Sakpatenti in Mtskheta, there are all conditions for fast and effective service of library users. The library, functioning on the basis of Sakpatenti, has played an important role in raising public awareness and dissemination of knowledge in the intellectual property field in Georgia over the years. A unique collection of local and foreign patent information, renewed on a regular basis, is preserved at the library.

The visitors have access to: databases of the European Patent Office (INPADOC and ESPACENET), the database of the Eurasian Patent Organization (EAPATIS), the databases of the United States Patent and Trademark Office, ROSPATENT, the German Patent and Trademark Office (DEPATISNET), patents from the region of Eastern and Central European states (ESPACE PRECES), GPI (Global Patent Index) and other search systems.

By January 1, 2015, the national patent collection of the library includes up to 8300 specifications of inventions and utility models, kept on electronic carriers, in the form of system and numeric catalogs that are compiled according to the Official Bulletins of Industrial Property and International Classifications.

The patent information of foreign countries, including patent documentation of the World Intellectual Property Organization, the European Patent Office, Austria, Russia, USA, France, Japan, etc., has reached 12320 CD and DVD-ROM discs.

ქტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყების, ავსტრიის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების საპატენტო დოკუმენტაციამ 12325 CD და DVD-ROM დისკი შეადგინა.

ამჟამად, მკითხველთათვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული 1575-ზე მეტი დასახელების დარგობრივი ლიტერატურა: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პუბლიკაციები, საერთაშორისო კლასიფიკაციები, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები და ცნობარები, მათ შორის, საქპატენტის გამოცემებიც – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები, სისტემური საძიებლები, წლიური ანგარიშები, ქართულ ენაზე ნათარგმნი საერთაშორისო კლასიფიკაციები, წიგნები, ჟურნალები და ბროშურები. აღნიშნული ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი ბაზის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" ოფიციალურ ვებგვერდზე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია საქპატენტში არსებული საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ.

საქპატენტის ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს უფასო პირველადი კონსულტაცია სამრეწველო საკუთრების დაცვისუნარიანი ობიექტების გამოსავლენად, ასევე, სხვადასხვა მონაცემთა ბაზით სარგებლობისა და განაცხადის სწორად გაფორმების შესახებ. აქ პოტენციურ განმცხადებელს ეხმარებიან სარეგისტრაციოდ წარსადგენი საპატენტო ობიექტის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისი ინდექსებისა და სასაქონლო ნიშნის საქონლისა და მომსახურების კლასების განსაზღვრაში, სურვილის შემთხვევაში კი უმზადებენ პატენტის აღწერილობებისა და დარგობრივი ნორმატიული დოკუმენტაციის ასლებს. 2014 წელს ბიბლიოთეკის სხვადასხვა სახის მომსახურებით 125-მდე პოტენციურმა განმცხადებელმა გამომგონებელმა, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელმა, მეცნიერ-მუშაკმა, სტუდენტმა, პენსიონერმა და სხვა დაინტერესებულმა პირმა ისარგებლა.

ასევე, საქპატენტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, უწყების საქმიანობის გაცნობის მიზნით, სტუდენტთათვის მოწყობილი ვიზიტების ფარგლებში, გასულ წელსაც ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ სტუდენტები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებიც გაეცნენ ინფორმაციას ბიბლიოთეკაში დაცული მასალებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

At present more than 1575 titles of related intellectual property literature in the Georgian and foreign languages are available to readers: publications of the World Intellectual Property Organization, international classifications, scientific and technical literature, encyclopedias, dictionaries and reference books, including Sakpatenti publications as well - Official Bulletins of Industrial Property, classification indexes, annual reports, international classifications, books, journals and brochures, translated in the Georgian language.Interested persons have an opportunity to receive information on the library collections stored at Sakpatenti by means of the electronic search database, published on the official website of the Center.

Library visitors can receive free primary consultation on the identification of protectable industrial property objects, as well as on using various databases and drafting an application. Staff members of the library assist potential applicants receive assistance in identification of relevant indexes of the international classification of the subject of a patent to be submitted for registration and classes of goods and services of a trademark. Upon request visitors can receive copies of patent specifications and related legal acts. In 2014, up to 125 potential applicants used library services – inventors, representatives of small and medium-sized enterprises, research workers, students, retirees and other interested persons.

By the initiative of Sakpatenti management, within the visits for students intended for familiarization with the activities of the Office, in the reporting year students from various higher educational institutions often visited the library. The students familiarized with information on the library materials as well as available services.



# საინფორმაციო ტექნოლოგიები

საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით, 2014 წელი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ საქპატენტში დაინერგა და ამჟამად აპრობაციას გადის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქმისწარმოებისა და მათი ადმინისტრირების ახალი ავტომატიზებული სისტემა, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს ექსპლუატაციაში მყოფი ანალოგიური სისტემა. ახალი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა შეიქმნა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI) მხარდაჭერით, ხოლო თავად პროგრამა შეიმუშავა და დანერგა კომპანიამ „იუ-ჯი-თი".

ახალ სისტემაზე გადასვლით საქპატენტში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე, უქაღალდო (ელექტრონული) საქმისწარმოებას, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქპატენტის მომსახურების ხარისხს და არა მხოლოდ გაამარტივებს, არამედ უფრო გამჭვირვალესა და სწრაფს გახდის საქმისწამოების პროცესს. სისტემაში, რომელიც ემყარება უახლეს მიდგომებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში, ინტეგრირებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა) განაცხადების ელექტრონულად (ონლაინ) წარდგენის ფუნქციონალური საშუალებები, საფასურების ონლაინ გადახდის სისტემა, საჭირო შეტყობინებები და სხვა საკომუნიკაციო ფუნქციები. ის უდიდეს სამსახურს გაუწევს განმცხადებლებსა და პატენტრწმუნებულებს, რომლებსაც შესაძლებლობა ეძლევათ ონლაინ, ქაღალდზე მიმოწერის გარეშე, აწარმოონ ურთიერთობა უწყებასთან, თვალყური ადევნონ საკუთარ განაცხადებზე საქმისწარმოების ეტაპებს და სხვა.

# INFORMATION TECHNOLOGIES

In the view of information technologies, the Year 2014 was noteworthy for the fact that a new automated system of workflow of intellectual property objects and their administration was launched at SAKPATENTI, which is intended to replace the similar software currently in use at the office. The development of software for an intellectual property electronic registration system was supported by USAID's Economic Prosperity Initiative (EPI) and it was developed and implemented by the company UGT.

The launching of the new system laid the foundation at SAKPATENTI for modern, paperless (electronic) proceedings, which will significantly improve the quality of SAKPATENTI services, and will not only simplify, but will also make more transparent and faster the process of proceedings. The system, which is based on the modern approaches in the information technologies field, includes functional means for electronic (online) filing of applications for intellectual property objects (inventions, utility models, trademarks, designs, geographical indications), electronic payments, necessary notifications and other communication functions. The system will render great assistance to applicants and patent attorneys in online paperless communication with the Office, in monitoring various stages of proceedings on their applications, etc.

Protection of intellectual property rights is recognized as the main driving force



ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა აღიარებულია ინოვაციისა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე ოფისები აქტიურად ნერგავენ ობიექტების რეგისტრაციისა და მართვის ავტომატიზებულ ონლაინ სისტემებს, რათა დროულად და ზედმეტი დანახარჯების გარეშე უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქპატენტში დანერგილ ახალ ელექტრონულ სისტემას, რომელიც უდავოდ შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. საყურადღებოა, რომ EPI-ს ეკონომიკური შეფასებით, ახალი სისტემა სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებულ დაინტერესებულ პირებს ყოველწლიურად 4 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯს დაუზოგავს.

2014 წელს საქპატენტის ხელმძღვანელობის ინიციატივით დაიწყო მუშაობა საქპატენტის მონაცემთა ბაზიდან მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების მონაცემთა ბაზაში Global Brand Base (GBD) სასაქონლო ნიშნების ინფორმაციის ინტეგრირებისთვის. მიმდინარეობს XML ფორმატის ფაილების გენერირება. თითოეული ფაილი შეიცავს: ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, ნიშანს და მისი მდგომარეობის სტატუსს.

გასული 2014 წელი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ დამთავრდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან მონაცემთა გაცვლა, განთავსდა საერთაშორისო მონაცემთა საპატენტო ბაზებში (PATENTSCOPE) საპატენტო მონაცემები ქართულ ენაზე, კერძოდ, გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელებზე ქართულენოვანი მონაცემები.

საქპატენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს: გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, დიზაინსა და

